2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის

2018 წლის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში

რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2019

სარჩევი

შესავალი 4

ნაწილი I: პრიორიტეტებით გათვალისწინებული ღონისძიების მიხედვით მიღწეული პროგრესის ანალიზი 11

პრიორიტეტი 1. ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 11

ღონისძიება 1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება 11

ღონისძიება 1.2. სხვა (საავტომობილო გზების გარდა) სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება 13

ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება 14

ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება 16

ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 18

ღონისძიება 1.6 წყალმომარაგების, წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება 21

ღონისძიება 1.7 კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია..... 23

ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია..... 23

ღონისძიება 1.9 ინტეგრირებული მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება..... 25

პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების და ექსპორტის მხარდაჭერა 26

ღონისძიება 2.1 საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა 26

ღონისძიება 2.2 ინოვაციების ხელშეწყობა 28

ღონისძიება 2.3 სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი..... 32

ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა 35

ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა 38

ღონისძიება 2.6 ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა 41

პრიორიტეტი 3: ადამიანური კაპიტალის განვითარება 43

ღონისძიება 3.1 ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება 43

ღონისძიება 3.2 პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება..... 44

ღონისძიება 3.3 უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა 46

ღონისძიება 3.4 კვლევითი სექტორის მხარდაჭერა 47
ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა 49
ღონისძიება 3.6 მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა 50
ღონისძიება 3.7 სოციალური ინკლუზია 52
პრიორიტეტი 4: ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე 54
ღონისძიება 4.1 რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება 54
ღონისძიება 4.2: სოფლის განვითარება 55
ღონისძიება 4.3. მაღალმთიანი დასახლებების განვითარება 56
ღონისძიება 4.4 ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა 58
ღონისძიება 4.5 და 4.6 60
პრიორიტეტი 5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა, რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის 60
ღონისძიება 5.4. რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება: განვითარების პროგრამის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის 60
ნაწილი II: მიღწეული შედეგების ანალიზი 61
ნაწილი III: გამოვლენილი ხარვეზები და გადაჭრის გზები 66

შესავალი

2018 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა“ (რგპ). პროგრამა არის საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც 2018-2021 წლების პერიოდში საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს განსაზღვრავს.

პროგრამა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ ჩარჩოს იმ საჯარო და კერძო ინვესტიციებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონულ განვითარებას, აძლევს საშუალებას ყველა დაინტერესებულ მხარეს მოახდინოს რესურსების კონცენტრირება ერთიანი, საერთო სტრატეგიის მიხედვით, რათა მიღწეულ იქნეს ინტერვენციის მაქსიმალური ეფექტიანობა.

პროგრამის საერთო მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, რეგიონული უთანაბრობების შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას. საერთო მიზანი მოიცავს პროგრამის შემდეგი **სამი კონკრეტული მიზნის მიღწევას**:

1. **სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა,** დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების სისტემური გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით;

2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური სერვისების **მდგრადი განვითარება**, რეაბილიტაცია და გაფართოება უსაფრთხო გზებით;

3. **სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის ხელშეწყობა** - თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის, მათი სოციალური კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ამ მიზნების განხორციელებისათვის, პროგრამა იყენებს სტრუქტურას, რომელიც ეფუძნება **5 პრიორიტეტს:**

1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

2. მცირე და საშუალო საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა;

3. ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა;

4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე;

5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება.

ინტეგრირებული ტერიტორიული საინვესტიციო ღონისძიებები (ITI) მიმართული უნდა იყოს ერთის მხრივ, სხვადასხვა ტერიტორიების განსხვავებული საჭიროებების ეფექტიანი

დაკმაყოფილებისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ტერიტორიების სპეციფიური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისაკენ. ეს მიღწეულ უნდა იქნას რეგიონული განვითარების პროგრამების მეშვეობით, რომლებიც აერთიანებენ როგორც სხვადასხვა სექტორების, ისე სხვადასხვა ტერიტორიების არსებულ რესურსებსა და ძალისხმევას. პროგრამა ასახავს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება საქართველოს ყველა რეგიონშია შესაძლებელი და მათ მკაფიო ტერიტორიული გავლენა ექნებათ რეგიონულ განვითარებაზე. პროგრამა განსაზღვრავს ღონისძიებების დაფინანსების, როგორც საბიუჯეტო, ასევე ბიუჯეტის გარეთ (მაგ. საერთაშორისო დონორებისა და განვითარების პარტნიორების მიერ დაფინანსებით) მიღებული რესურსების წყაროებს.

2018-2021 რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) განხორციელების 2018 წლის მონიტორინგის ანგარიში მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის მიერ, შესაბამისი დეპარტამენტების, დარგობრივი სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ანგარიშის მომზადების პროცესს მხარს უჭერს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი „რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა - ფაზა II“.

ანგარიშის მიზანია, ერთის მხრივ, საქართველოს რეგიონული პოლიტიკის მიზნების განხორციელების პროგრესის ანალიზის უზრუნველყოფა, ხოლო მეორეს მხრივ, შესაბამისი საჯარო ინფორმირებულობისა და დისკუსიის ხელშეწყობა, რომელიც შეეხება რეგიონული განვითარების გამოვლენილ პრობლემებს, პროგრამული ღონისძიებების შესაბამისობისა და მათი ეფექტიანობის დადგენას.

მონიტორინგის ანგარიშში წარმოდგენილია რგპ-ს განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესის შეჯამება (ნაწილი I) და მიღწეული შედეგების ანალიზი (ნაწილი II). დოკუმენტი ასახავს როგორც ანგარიშს პროგრესის შესახებ, ასევე იძლევა გარკვეულ რეკომენდაციებს ცალკეულ ღონისძიებებთან დაკავშირებით (ნაწილი III).

პროგრამირების პირველ ფაზასთან შედარებით (2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა), 2018-2021 წლების პროგრამაში წარმოდგენილია ახალი ღონისძიებები და განმახორციელებელი უწყებები. ასევე, ახალი პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი დაახლოებით 4.5-ჯერ აღემატება წინა პროგრამისას. შესაბამისად, მასშტაბისა და შინაარსის კუთხით მრავალი განსხვავებიდან გამომდინარე, 2015-2017 წლების პროგრამის საბოლოო შედეგების გამოყენება ახალი დოკუმენტის საბაზისო მაჩვენებლებად არ იქნება მართებული.

რაც შეეხება პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების ფაქტიურ შესრულებას პრიორიტეტების დონეზე, 2018 წელს დაგეგმილმა ბიუჯეტმა დაახლოებით ჯამში 3.596 მლრდ ლარი შეადგინა, საიდანაც 3.168 მლრდ ლარი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ფაქტიური ხარჯი წლის ბოლოს დაახლოებით 3.38 მლრდ ლარი იყო, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტის ათვისების საერთო მაჩვენებელმა 94% შეადგინა.



ყველაზე დიდი თანხები - 1.578 და 1.532 მლრდ ლარი - გამოიყო მესამე (ადამიანური კაპიტალის განვითარება) და პირველ (ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება) პრიორიტეტებზე, რომელიც მოიცავს თბილისი-ქუთაისი-ბათუმი-სარფი საერთაშორისო ავტომაგისტრალის მშენებლობას, სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, მყარი ნარჩენების მართვას, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობას. მათგან მხოლოდ ღონისძიება 1.1 - საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზების გაუმჯობესებაზე დაახლოებით 1.076 მილიარდი ლარის ღირებულების სამუშაო იქნა შესრულებული. ჯამში პირველი პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის 94%-ია ათვისებული. პრიორიტეტი 3-ის ფარგლებში თანხობრივად ყველაზე მსხვილი ღონისძიება იყო 3.7.1 - მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება, სადაც 640.7 მლნ ლარი დაიხარჯა და 3.3.2 - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა, რომელშიც დანახარჯმა დაახლოებით 293 მილიონი ლარი შეადგინა.



აღსანიშნავია, რომ მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში რეგიონებზე გამოყოფილი თანხა მოცულობით მე-2 ადგილზეა. პრიორიტეტი მოიცავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარებაზე მიმართულ ღონისძიებებს, კვლევებს, შრომის ბაზრის განვითარებას, იძულებით გადაადგილებული პირებისა და უმცირესობების ინტეგრაციას, სოციალურ ინკლუზიას. ზემოაღნიშნული ღონისძიებების ჯამურმა შესრულებამ 89% შეადგინა. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებების და ეროვნული უმცირესობების პროფესიული და სახელმწიფო ენის პროგრამით გადამზადების მიმართულებით შესრულება შედარებით დაბალი იყო (67% და 56% შესაბამისად) და მთლიანობაში, პრიორიტეტის შესრულებაზეც იქონია გავლენა.

მე-4 პრიორიტეტი გამოყოფილი თანხების მიხედვით მესამე ადგილასაა (დაახლოებით 0,5 მლრდ ლარი) და ყველზე მაღალი შესრულების მაჩვენებლით არის გამორჩეული. პრიორიტეტი - „ადგილობრივი განვითარება“ - მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მცირე ზომის ინფრასტრუქტურას, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების მხარდაჭერასა და ანაკლიის პორტის განვითარების ხელშეწყობა. პორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი თანხის მხოლოდ 24% იქნა ათვისებული. ეს გამოწვეული იყო ინვესტორის მიერ 4 მნიშვნელოვანი ფინანსურ ინსტიტუტთან - EBRD, ADB, AIIB და OPIC მოლაპარაკებებისა და კონტრაქტების გაფორმების დროში დაგვიანებით. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 4 სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან განსხვავებულ გეოგრაფიულ ზონაში, ამასთან, თითოეულ მათგანს აქვს გადაწყვეტილებების მიღების განსხვავებული რეგულაციები და ინტერვალები. რამდენიმე თვე დასჭირდა აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტების მიერ დამოუკიდებელი საერთაშორისო კონსულტანტების შერჩევასა და მათთან კონტრაქტების გაფორმებას. 2018 წლის მაისის ბოლოს ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა ოთხივე ფინანსურ ინსტიტუტთან გააფორმა მანდატის შეთანხმებები და აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათი დამოუკიდებელი კონსულტანტები ოფიციალურად ჩაერთნენ პროექტის შესწავლის პროცესში.

2018 წელს მე-2 პრიორიტეტზე გამოყოფილმა ფინანსურმა რესურსმა შეადგინა 196 მლნ ლარი, აქედან 92% იქნა ათვისებული. პრიორიტეტი მოიცავს მცირე და საშუალო ზომის

საწარმოების, ინოვაციების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების მხარდაჭერას და ასევე ექსპორტის წახალისებას. ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით (აქტივობა 2.3.4) ათვისებულია გამოყოფილი თანხის 29%.

ღონისძიებების უმრავლესობის შემთხვევაში, 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ფიზიკური პროგრესის დადგენილი სამიზნეები მიღწეულია, თუმცა, გარკვეული ჩამორჩენა შეინიშნებოდა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაში, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ნაწილი I-ში.

2018 წელს პროგრამის განხორციელებაზე ასევე გავლენას ახდენდა რიგი ფაქტორები, მათ შორის კლიმატური პირობები. ამასთან, აღსანიშნავია რომ 2018 წელს, ოქტომბერსა და ნოემბერში საქართველოში პრეზიდენტის არჩევნები ორ ტურად ჩატარდა. საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-3 პუნქტის, 49-ე მუხლის თანახმად, არჩევნებამდე 60 დღით ადრე ძალაში შედის გარკვეული შეზღუდვები. ამ შეზღუდვებს შესაბამისი გავლენა აქვთ, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მთავრობის მიერ პროექტების / პროგრამების შესრულებაზე.



საერთო ჯამში, მთლიანი დახარჯული თანხის 59%-ის რეგიონული ჩაშლა მოხერხდა. 2018 წელს თანხების უდიდესი წილი - 46% იმერეთის რეგიონს მოხმარდა, რაც შეიძლება აიხსნას საერთაშორისო საავტომობილო ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობით, სადაც იმერეთის რეგიონში დახარჯულია 565 მლნ ლარი, მაშინ როდესაც დანახარჯმა გურიაში, აჭარასა და შიდა ქართლში 263 მლნ შეადგინა. დანარჩენი რეგიონების მიერ ფინანსური სახსრების ხარჯვა ეროვნულ დონეზე საერთო დანახარჯის 3%-დან 8%-მდე მერყეობდა.



ერთ სულ მოსახლეზე რეგიონული ხარჯვის ანალიზის მიხედვით, 100 ათას ადამიანამდე მოსახლეობის მქონე რეგიონებში - გურია, მცხეთა-მთიანეთი და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ვიდრე დანარჩენ რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ მცხეთა-მთიანეთში და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში უდიდესი წილი მოდის შიდასახელმწიფოებრივი გზების რეაბილიტაციაზე, გურიაში კი გზის მშენებლობაზე. იგივე მიზეზის გამო, ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებელი მაღალია აჭარაშიც. აღსანიშნავია, რომ ოთხივე რეგიონში არსებობს მაღალმთიანი მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის დასახლებები, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში კი უმეტესად აღნიშნული ტიპის დასახლებები ჭარბობს.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში ასევე წარმოდგენილია რგპ-ს მართვასა და მონიტორინგთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რათა გაუმჯობესდეს პროგრამის შესრულება 2019 წელს, ასევე განსაზღვრულია რეკომენდაციები საქართველოს რეგიონულ პოლიტიკასა და კოჰეზიასთან დაკავშირებით, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის პროცესის შემდგომი განვითარება და განმახორციელებელ უწყებებთან თანამშრომლობის გზით, ანგარიშგების დახვეწა;
- რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე სტრუქტურის შემდგომი გაძლიერება, მათ შორის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის (რგსკ) შესაძლებლობების განვითარება მთლიანად პროცესის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად;

- ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შემდგომი გაუმჯობესება რგპ-ს უკეთ მონიტორინგისა და შეფასებისთვის არსებითადაა მნიშვნელოვანი და საჭირო, განსაკუთრებით მიღწეული შედეგების ანალიზისთვის;
- შერჩეული საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის დასრულება (იხ. ღონისძიება 4.5), მისი მონიტორინგის გეგმის შემუშავება და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-დამუშავება.

ანგარიშის III ნაწილი მოიცავს პროგრამის ღონისძიებების გაუმჯობესებისთვის დეტალურ რეკომენდაციებს.

ნაწილი I: პრიორიტეტებით გათვალისწინებული ღონისძიების მიხედვით მიღწეული პროგრესის ანალიზი

პრიორიტეტი 1. ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ღონისძიება 1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება

2018 წელს სამშენებლო აქტივობა მიმდინარეობდა სულ 77 კმ-ზე, საგზაო მონაკვეთზე ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში. ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის სამუშაოები 7 მონაკვეთზე მიმდინარეობდა და ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა ჯამში 9.5 კმ გზაზე.

2018 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 218 კმ საავტომობილო გზას და 21 ხიდს. რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში აშენდა 8 ახალი საავტომობილო ხიდი. მიმდინარე შეკეთების (მათ შორის, ზამთრის შენახვის) სამუშაოები ტარდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6,000 კმ-მდე საავტომობილო გზაზე. ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობდა 25 ობიექტზე. აქედან, 21 ობიექტზე სამუშაოები დასრულდა. ნაპირდაცვითი ღონისძიებების სამუშაოებისათვის ათვისებულმა თანხამ შეადგინა 22.8 მლნ. ლარი.

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეაბილიტირებულ იქნა 15.3 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი, დასრულდა 3 ნაპირსამაგრი და 3 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- გურიის რეგიონში დასრულდა 2 ნაპირსამაგრი პროექტი;
- იმერეთის რეგიონში რეაბილიტირებული იქნა 12.6 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი, დასრულდა 4 ნაპირსამაგრი და 2 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- კახეთის რეგიონში რეაბილიტირებულ იქნა 24.2 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი, დასრულდა 3 ნაპირსამაგრი და 2 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რეაბილიტირებული იქნა 43 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი და დასრულდა 1 ნაპირსამაგრი პროექტი;
- რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში რეაბილიტირებული იქნა 44.6 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი, დასრულდა 2 ნაპირსამაგრი და 1 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში რეაბილიტირებული იქნა 36.4 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი, დასრულდა 5 ნაპირსამაგრი და 8 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რეაბილიტირებულ იქნა 1.9 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი და დასრულდა 1 ნაპირსამაგრი პროექტი;
- ქვემო ქართლის რეგიონში რეაბილიტირებული იქნა 30.5 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი, დასრულდა 1 ნაპირსამაგრი და 1 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- შიდა ქართლის რეგიონში რეაბილიტირებული იქნა 8.9 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთი და დასრულდა 1 ნაპირსამაგრი პროექტი.

		2018	
მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**
აშენებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე	კმ	15	9.5
საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე განხორციელებული რეაბილიტაცია -პერიოდული შეკეთების სამუშაოები	კმ	200	218
რეაბილიტირებული და აშენებული ხიდების რაოდენობა	რაოდენობა	25	29

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი			
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
1.1.1 E60 და E70 საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორების და სხვა ჩქაროსნული ავტომაგისტრალების განვითარება საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოდერნიზაციით	25 02 03	674,542	728,031	108
1.1.2 არსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელების რეაბილიტაცია	25 02 02 01;08;09;10;11;12;15;16;17;18;20; 25 03 03; 04; 05	341,508	348,238	102

ღონისძიება 1.2. სხვა (საავტომობილო გზების გარდა) სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება

2018 წელს, მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში სს საქართველოს რკინიგზამ დაიხარჯა 182 მილიონ ლარზე მეტი, აღნიშნული თანხიდან 1. 8 მილიონი ლარი დაიხარჯა ქონების გამოსყიდვაზე, ხოლო 180.8 მილიონი ლარი სამშენებლო სამუშაოებსა და ტექნიკურ ზედამხედველობაზე. საანგარიშო პერიოდში, დასრულდა ქვიშხეთი-ზვარეს დამაკავშირებელი N 9 გვირაბის ექსკავაციის სამუშაოები. ზესტაფონი - შორაპანი და ლაშე - ხარაგაულის დამაკავშირებელი სარკინიგზო მონაკვეთები. მოეწყო ხელოვნური ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამჟამად, შესრულებულია კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 87%.

მოდერნიზაციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება იმერეთის რეგიონში, კერძოდ კი, ხარაგაულისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვიშხეთი - ზვარეს დამაკავშირებელი მე-9 გვირაბის (8.33 კმ სიგრძით) აღმოსავლეთ პორტალი მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონში ქვიშხეთის ტერიტორიაზე. დაგეგმილია შიდა ქართლის ტერიტორიაზე ახალი სარკინიგზო ლიანდაგის დაერთება არსებულ რკინიგზასთან. ამჟამად აღნიშნული სარკინიგზო ხაზის მიწის მოწყობის სამუშაოები შესრულებულია კონტრაქტორის მიერ.

პროექტის მიმდინარეობისას, სოფ. ზვარეს მიმდებარე ტერიტორიაზე (საპროექტო რკინიგზის ხაზის 22+800-23+050 კილომეტრი) განვითარდა საშიში გეოლოგიური პროცესი (ზვარეს მეწყერი), რომელიც კლასიფიცირდება, როგორც ფართომაშტაბიანი დაძვრითი ტიპის გრანდიოზული მეწყერი. ამჟამად, აღნიშნულ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები დროებით შეწყვეტილია, მიმდინარეობს რკინიგზის ხაზისა და მეწყერის

დასტაბილურებისთვის საჭირო პროექტების მომზადება თუმცა, გადაწყვეტილებების მიღებისთვის მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი მესამე მხარის პროექტის ექსპერტიზა, რათა აღმოვფხვრათ მოსალოდნელი საფრთხეები.

		2018	
	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მოდერნიზებული/გაფართოებული და აშენებული რკინიგზის სიგრძე	კმ	4.24	4.24

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
1.2.1. თბილისი - მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო ხაზის ზესტაფონი - ხარაგაული; მოლითი-ქვიშხეთის მოდერნიზაციის პროექტი (მ.შ. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სადგურებისა და დეპოების ოპტიმიზაცია, სატვირთო და სამგზავრო მატარებლების ოპტიმიზაცია და ახალი მატარებლების შეძენა)	N/A	92,784	92,784	100

ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება

მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, მუშაობს საქართველოს კანონის პროექტზე სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე კანონის პროექტზე . კანონის პროექტის მიზანია, საქართველოს მასშტაბით (მისი ყველა რეგიონის ჩათვლით) სატელეკომუნიკაციო ოპერატორებმა შეძლონ ნაკლები ფინანსური დანახარჯებით გააფართოვონ საკუთარი ქსელები, გამარტივებულად მიიღონ ინფორმაცია საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსადეგი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და სხვა.

ევროკომისია, ციფრული ბაზრის ჰარმონიზების (HDM/EU4Digital) პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საექსპერტო ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს „ფართოზოლოვანი

ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის და მისი განხორციელების გეგმის“ შემუშავებას, რომელიც მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით და ხელშეწყობით, სხვადასხვა მხარეთა ჩართულობით დაიწყო ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტი, რომელიც 2019 წელს დასრულდება. პროექტის ფარგლებში ფართოზოლოვანი ინტერნეტით დაიფარება: 76 სოფელი; 496 ოჯახი, 1291 მუდმივი მაცხოვრებელი. აღნიშნული სათემო ინტერნეტ ქსელი წარმოადგენს თემის საკუთრებას, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ რეგიონებში დასაქმების ზრდას. ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტი 2 ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე დაიფარება ფშავის, პირაქეთა ხევსურეთის (ბარისახოს თემი), არხოტის ხეობები, მეორე ეტაპზე - პირიქითა ხევსურეთის და არდოტის, უკანა ფშავის და გუდამაყრის ხეობები.

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**სამიზნე ღირებულება**	**2018**
ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით, შემუშავებული სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე საქართველოს კანონპროექტი	რაოდენობა	1	1

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	**2018 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	**ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი) 34 01 04 01**	**შესრულება (%)**
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა				
1.3.1. ინტერნეტი განვითარებისთვის - ციფრული წიგნიერების ტრენინგის ჩატარება მოსახლეობისთვის და ტრენინგი ელექტრონულ კომერციაში ბიზნესის წარმომადგენლებისთვის	24 12	230	94	41

2018 წელს ამ ღონისძიებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის შესრულებამ 41% შეადგინა, რომლის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო ის, რომ პროექტი დაიწყო მაღალმთიან დასახლებებში, სადაც მოსახლეობა ნაკლებად იყო ინფორმირებული ზემოთაღნიშნული ღონისძიების შესახებ და დაინტერესებისა და მიმართვიანობის დონე დაბალი იყო.

ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება

2018 წელს გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 42 დასახლებული პუნქტის 13,700-მდე პოტენციური აბონენტისათვის სამშენებლო, 24 დასახლებული პუნქტის 2,000-ზე მეტი აბონენტისათვის საპროექტო-სამშენებლო და 9 დასახლებული პუნქტისათვის საპროექტო სამუშაოების წარმოება. გარდა ამისა, გარდაბნის რაიონის 6 სოფლისათვის მკვებავი გაზსადენის მშენებლობა. გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდა და ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა დამატებით 15,542 პოტენციურ აბონენტს, რისთვისაც აშენდა დაახლოებით 884კმ. გაზსადენი.

რეგიონების მიხედვით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- აჭარა - 608 პოტენციური აბონენტი; აშენდა 49.6კმ გაზსადენი.
- გურია - 2,129 პოტენციური აბონენტი, აშენდა 152.8კმ გაზსადენი.
- იმერეთი - 1,436 პოტენციური აბონენტი, აშენდა 73კმ გაზსადენი.
- კახეთი - 3,960 პოტენციური აბონენტი, აშენდა 211კმ გაზსადენი.
- მცხეთა-მთიანეთი - 141 პოტენციური აბონენტი, აშენდა 15.5კმ გაზსადენი.
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 3,646 პოტენციური აბონენტი, აშენდა 226კმ გაზსადენი.
- ქვემო ქართლი - 1,199 პოტენციური აბონენტი, აშენდა 51.9კმ გაზსადენი.
- შიდა ქართლი - 2,423 პოტენციური აბონენტი, აშენდა 104კმ.

ენგურჰესის რეაბილიტაცია (სამეგრელო-ზემო სვანეთი) გულისხმობს მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისა და საიმედოობის ამაღლებას. მოცემულ პერიოდში დაგეგმილია ენგურჰესთან მისასვლელი 14კმ. გზის აღდგენა, ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური სამუშაოები, სამშენებლო სამუშაოები ენგურის სადაწნეო გვირაბზე, ენგურის წყალსაცავის ნატანისგან გაწმენდა.

ამასთან, 2018 წლის მდგომარეობით პროექტის I ფაზის - ორჯაჭვა 220კვ ეგხ ბათუმი-შუახევი მშენებლობა დასრულებულია, მიმდინარეობს პროექტის II ფაზის განხორციელება. პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები ხორციელდება ორ რეგიონში: აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში.

პროექტი „ჯვარი-ხორგა“ წარმოადგენს სასისტემო მნიშვნელობის ღონისძიებას. პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება 2019 წელს. რიგი ამოცანებიდან უმთავრესია დასავლეთ საქართველოს 220 კვ ქსელის საიმედოობის ამაღლებისთვის. პროექტი ხორციელდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

2018 წლის ბოლოსთვის უკვე დასრულებულია 500 კვ ეგხ "ქსანი -სტეფანწმინდა "-ისთვის, დროებითი 110 კვ ეგხ კავშირი ქ /ს "ქსანი -500"-ისა და 500 კვ ეგხ "ქსანი -სტეფანწმინდას " შორის, სიგრძე 0.7 კმ;

დასასრულებელია:

- 500 კვ ეგხ ქ/ს „ქსანი“ - ქ/ს „სტეფანწმინდა”, სიგრძე 100 კმ;
- ქსანი-სტეფანწმინდის 12.6 კმ-იანი მონაკვეთი 133/166 უბანი;
- 500/110 კვ ქ/ს „სტეფანწმინდა“, დადგმული სიმძლავრე 250 მგვა;
- 500 კვ ეგხ ქ/ს „სტეფანწმინდა“-რუსეთის საზღვარი სიგრძე 11 კმ.

ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება 2023 წელს.

ღონისძიება	ერთეული	სამიზნე ინდიკატორი	2018
დამონტაჟებული ახალი გაზსადენის სიგრძე	კმ	891	884
გაზის ქსელზე მიერთებული დამატებითი მომხმარებლების რაოდენობა	რაოდენობა	15,542	15,542
ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც იღებენ გაზის მოხმარების სუბსიდიებს	რაოდენობა	5,700	5,700
აშენებული ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე	კმ	160	47

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
1.4.1. მოსახლეობის ელეტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	24 15	25,193	25,193	100
1.4.2 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU)	24 13 01	2,600	2,600	100
1.4.3.2 ჯვარი-ხორგა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა (EBRD, EC, KfW, WB)	24 14 02 02	8,000	5,046	63
1.4.3.3 ქსანი-სტეფანწმინდის გადამცემი ხაზის მშენებლობა (EBRD, EC, KfW, WB)	24 14 02 01	25,000	17,607	70

2018 წელს ჯვარი-ხორგა და ქსანი-სტეფანწმინდის გადამცემი ხაზების მშენებლობაზე გამოყოფილი თანხების დაბალი შესრულების მაჩვენებელი განპირობებული იყო სამუშაოების დაყოვნებით კლიმატური პირობების გამო.

ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, 2018 წელს სტიქიური მოვლენებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები მიმდინარეობდა 20 ობიექტზე. აქედან, 17 ობიექტზე სამუშაოები დასრულდა.

2018 წელს აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო, ნაპირდაცვითი და სტიქიის შედების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები, კერძოდ:

- დასრულდა 3 ნაპირსამაგრი და 3 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- გურიის რეგიონში დასრულდა 2 ნაპირსამაგრი პროექტი;
- იმერეთის რეგიონში დასრულდა 4 ნაპირსამაგრი და 2 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- კახეთის რეგიონში დასრულდა 3 ნაპირსამაგრი და 2 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დასრულდა 1 ნაპირსამაგრი პროექტი;
- რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში დასრულდა 2 ნაპირსამაგრი და 1 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დასრულდა 5 ნაპირსამაგრი და 8 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დასრულდა 1 ნაპირსამაგრი პროექტი;
- ქვემო ქართლის რეგიონში დასრულდა 1 ნაპირსამაგრი და 1 სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
- შიდა ქართლის რეგიონში დასრულდა 1 ნაპირსამაგრი პროექტი.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები სსიპ გარემოს ბუნებრივი სააგენტოს მიერ:

- გამოიცა გეოლოგიური ბიულეტენი „საქართველოში 2017 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2018 წლისთვის“;

- მუნიციპალიტეტებიდან და მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით შედგა 305 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;

- შეფასებულია 587 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 1,245 მოსახლის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასებისთვის. საქართველოს ყველა მხარეში ჩატარდა ყოველწლიური გეოლოგიური მონიტორინგი - შეფასებულია 1,057 დასახლებული პუნქტი;

- განხორციელდა ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. მომზადდა 46 დასკვნა, სადაც შეფასებულია ინფრასტრუქტურული ობიექტების, საინჟინრო ნაგებობების, დაძაბული უბნების გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური მდგომარეობა;

- განხორციელდა 119 საველე გასვლა;

- მიმდინარეობდა გეოლოგიური მონაცემთა ბაზის შევსება და კადასტრების შედგენა;
- მომზადდა ყაზბეგისა და დარიალის ფურცლების დამუშავდა საველე კვლევების საფუძველზე მოპოვებული მასალა რუსთავისა და ლაგოდეხის ფურცლის (კახეთის მხარე) ფარგლებში;
- ქ. თბილისის ტერიტორიაზე ჩატარდა საველე გეოლოგიური კვლევები. შედეგად, შედგა თბილისის ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) ზონირების რუკა.
- საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“, წყალპუნქტებიდან ავიღეთ 190 სინჯი (100 ქიმიური და 90 ბაქტერიოლოგიური) ლაბორატორიული ანალიზებისთვის;
- მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელის 55 წყალპუნქტიდან (49 ჭაბურღილი და 6 წყარო) ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობს მონაცემების მიღება-კონტროლი, მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქსელის ჭაბურღილების ინსპექტირება და ტექნიკურ-პროფილაქტიკური სამუშაოები;
- 4 ჭაბურღილზე დამონტაჟდა მონიტორინგის აპარატურა, რომელიც ონლაინ რეჟიმში იძლევა ინფორმაციას წყლის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ;
- „ENI SEIS II East“—პროექტის ფარგლებში, მომზადდა ინფორმაცია წყლის ხარისხის ინდიკატორის შემუშავებისთვის მიწისქვეშა წყლების ნაწილზე;
- რეგულარულად მიმდინარეობს დაკვირვება 149 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- საქართველოს ძირითადი მდინარეების-და მათი შენაკადების აუზების ზემო წელში და ქვეყნის 8 უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიებზე (16 მარშრუტზე) ჩატარდა თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები. მომხმარებელს მიეწოდა გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზი. დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე დამონტაჟდა 4 ერთეული ავტომატური წყლის დონის მზომი სადგური, ხოლო ქ. ბათუმისა და ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურებში - ავტომატური საზღვაო მეტეოროლოგიური სადგურები;
- მდ. ნენსკრაზე, ჭუბერის თემში დამონტაჟდა და გაიმართა ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური საგუშაგო;
- შეგროვდა მონაცემები ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების სტაციონარული ქსელიდან და მიეწოდა მომხმარებელს;
- 2018 წელს გაიცა 47 გაფრთხილება, მათ შორის საქართველოს სამხედრო გზაზე (მლეთა-გუდაურისა და კობი-ლარსის მონაკვეთებზე) 20 გაფრთხილება მოსალოდნელი თოვლის ზვავების შესახებ.

ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება	2018
ნაპირსამაგრი სამუშაოების რაოდენობა (ჩასწორდეს	რაოდენობა	30 (2019)	21

აღნიშნული რედაქციით)			
სტიქიური მოვლენებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები (გარდა მონიტორინგის სადგურებისა)	რაოდენობა	20 (2019)	17

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა				
1.5.1. ზღვის და მდინარეების სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები	25 02 02 07, მგფ 25 03 02	22,830	22,828	100
1.5.2. ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ ინფრასტრუქტურის აშენება/მოწყობა	25 02 02 05	17,932	17,932	100
1.5.3. ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ ინფრასტრუქტურის აშენება/მოწყობა	25 02 02 05	17,932	17,932	100
1.5.4 ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების და გეოლოგიური საფრთხეების მონიტორინგისთვის სტანდარტული და სპეციალიზებული ქსელის გაფართოება / შექმნა	34 01 01	1,341	1,341	100
1.5.5 ეკომიგრანტებისთვის გრძელვადიანი საცხოვრისის უზრუნველყოფა	34 01 04 01	4,064	4,063	100

ზღვის და მდინარეების სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმართულებით გამოყოფილი ფინანსური რესურსების 42%-ს ათვისება მოხდა.

ღონისძიება 1.6 წყალმომარაგების, წყალარინებისა და მყარი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება

2018 დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით, შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ხორციელდებოდა წყალმომარაგების 7 და წყალარინების 7 მასშტაბური პროექტი. წყალმომარაგების პროექტებიდან 7-დან 5, ხოლო წყალარინების 7 პროექტიდან 3 უნდა დასრულებულიყო 2018 წელს. აღნიშნული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა ვერ მოხერხდა ძირითადად პრობლემური დიზაინის, დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის, კონტრაქტორის მხრიდან არასწორი დაგეგმვისა და ბიუროკრატიის გამო.

რეგიონების მიხედვით სამუშაოები შემდეგნაირად განაწილდა:

სამეგრელო-ზემო სვანეთი:

- ანაკლიის წყალარინებისა და მესტიის წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა REG-02 - სამშენებლო სამუშაოები
- დასრულებულია. მიმდინარეობს ობიექტების შენახვის პროცედურები ტესტირებისათვის
- ზუგდიდის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია ZUG-01 - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები
- ზუგდიდის წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია ZUG-02 - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები
- ზუგდიდის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა REG-03a - მიმდინარეობდა სამშენებლო და საპროექტო სამუშაოები
- ფოთის წყალარინების სისტემების მშენებლობა POT-01 - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები
- ფოთის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა POT-02 - მიმდინარეობდა სამშენებლო და საპროექტო სამუშაოები
- ჯვარის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია JVARI-01 - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები
- აბაშის გადამცემი ხაზის მშენებლობა ABA-01 - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები

  გურია:
- ურეკის წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების რეაბილიტაცია URE-01 - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები
- ურეკის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა URE-02 - სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს ობიექტების შენახვის პროცედურები ტესტირებისათვის

  იმერეთი:
- ქუთაისის წყალმომარაგების პროექტი (ფაზა II) KUT-01 - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები

  ჭიათურის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია CHI-01 - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები

2018-ში მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ)-ის მიერ მიმდინარეობდა 2016 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგების, წყალარინების და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ქვე-

პროექტების დაფინანსება ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

გარდა ამისა, მგფ 2018 წელს ახორციელებდა შემდეგ პროექტებს:

ქობულეთის წყალარინების პროექტი და წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II; ახმეტის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თელავი-კურდღელაურის, წნორის, სიღნაღის (კახეთი), ტყიბულის, ზესტაფონის (იმერეთი), ხობის (სამეგრელო-ზემო სვანეთის), წალკის, ბოლნისის დუშეთის (ქვემო ქართლის), ლიკანი-წაღვერის (სამცხე-ჯავახეთის) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია.

რაც შეეხება შპს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას, 2018 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქ. საჩხერეს, ქ. თერჯოლას (იმერეთი), ქ. ფოთის (სამეგრელო-ზემო სვანეთის), ქ. თელავი, ქ. ლაგოდეხის (კახეთის) ნაგავსაყრელებს და მოწყობილ იქნა მესტიის გადამტვირთი სადგურის ნაპირდამცავი გაბიონი.

ამასთან, ქუთაისის (იმერეთის) ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EU, KFW) - „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ გერმანიის განვითარების ბანკის (KfW Entwicklungsbank) ფინანსური მხარდაჭერით გეგმავს 2022 წლისათვის, ახალი საერთაშორისო სტანდარტების რეგიონული ნაგავსაყრელის აშენებას ქ. ქუთაისის მიმდებარედ, რომელიც მოემსახურება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს, ასევე ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობას და ძველი (ნიკეას) ნაგავსაყრელის დახურვას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით დაგეგმილია 2021 წლისათვის ქვემო ქართლში ახალი საერთაშორისო სტანდარტების რეგიონული ნაგავსაყრელის აშენება, რომელიც მოემსახურება ქვემო ქართლის რეგიონის 5 მუნიციპალიტეტს. ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2021 წლის ბოლოს.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, გერმანიის განვითარების ბანკის (KfW Entwicklungsbank) ფინანსური მხარდაჭერით, გეგმავს 2022 წლის ბოლოს, ორი ახალი საერთაშორისო სტანდარტების რეგიონული ნაგავსაყრელის აშენებას კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, რომლებიც მოემსახურება ამ რეგიონების მუნიციპალიტეტებს. მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2022 წლის ბოლოს.

		2018	
მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
განხორციელებული წყალმომარაგების პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	35	25
განხორციელებული წყალარინების პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	3	1

დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა	რაოდენობა	0	0
აშენებული ახალი ნაგავსაყრელების რაოდენობა	რაოდენობა	0	0

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა				
1.6.1 წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზაცია და განვითარება, მათ შორის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	25 04 04; 06; 08; 05; მგფ 02; 03	165,000	137,053	83
1.6.2 მყარი ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება (ძველი ნაგავსაყრელების დახურვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა).	25 05, 56 13 03	8,200	8,961	109

წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზაცია და განვითარების მიმართულებით პროექტების შეუსრულებლობის გამო ათვისება მოხდა გამოყოფილი თანხების მხოლოდ 83%-ს. პროექტების აუთვისებლობა გამოწვეული იყო პრობლემური დიზაინით; დამატებითი სამუშაოების აუცილებლობით, ბიუროკრატიისა და დაგეგმვის კუთხით დაშვებული ხარვეზებით კონტრაქტორების მხრიდან.

ღონისძიება 1.7 კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია

- ანალიზისთვის საკმარისი ინფორმაცია ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის.

ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ტერიტორიებზე მოეწყო შემდეგი სახის ინფრასტრუქტურა:

- 3 დაცულ ტერიტორიაზე (საწურბლია, ნავენახევი, ალგეთი) აშენდა ვიზიტორთა ცენტრი და დაცვის ინფრასტრუქტურა;
- მოეწყო კინჩხის გადასახედი;
- 1 დაცული ტერიტორია უზრუნველყოფილია სადემარკაციო ნიშნულებით,
- 2 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია აღიჭურვა საველე ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით.

დაცულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონების ჭრილში გამოიყურება შემდეგნაირად:

რეგიონი	**ინფრასტრუქტურული ერთეულის რაოდენობა**
აჭარის ა/რ	2
იმერეთი	4
კახეთი	8
მცხეთა-მთიანეთი	2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1
სამცხე-ჯავახეთი	2
ქვემო ქართლი	2

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა აჭარის ა/რ-ში მდებარე მაჭახელას ეროვნულ პარკის მენეჯმენტის გეგმა.

		2018	
	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
განახლებული და განვითარებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა (შენობები, ეკო-ტურისტული ბილიკები, ვიზიტორთა ცენტრები)	რაოდენობა	6	23

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
1.8.1. ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები	31 01 06, დონორი	100	100	100

1.8.2. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემების ჩამოყალიბება და მართვა	31 09-31 09 01-11-09-04	17,867	15,944	89
1.8.3. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარება CNF	31 09 04	1,323	899	68

საანგარიშო პერიოდში ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებაზე გამოყოფილი თანხა სრულად აითვისა. დაცული ტერიტორიების სისტემების ჩამოყალიბებისა და მართვის მიმართულებით ათვისებამ 89%, ხოლო განვითარების მიმართულებამ - 68% შეადგინა.

ღონისძიება 1.9 ინტეგრირებული მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება

- ანალიზისთვის საკმარისი ინფორმაცია ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის.

პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების და ექსპორტის მხარდაჭერა

ღონისძიება 2.1 საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში კერძო სექტორის განვითარებას ფინანსებზე და ტექნიკურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით. სახელმწიფო პროგრამის **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულება** პროგრამის ფარგლებში მონაწილე კომპანიების მიერ ბიზნესის განვითარებისთვის მიღებულ კომერციულ სესხზე და/ან ლიზინგის ობიექტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 2 წლის განმავლობაში. აღნიშნული მიმართულებით 2018 წლის განმავლობაში მხარი დაეჭირა 101 მეწარმე სუბიექტს (მათ შორის 36 სასტუმრო), რომელთა მიერ განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 212 მლნ. ლარს. პროგრამის მეშვეობით კომერციული ბანკების მიერ მოხდა 134.6 მლნ. ლარზე მეტი კომერციული სესხის დამტკიცება, აღნიშნული ბენეფიციარები დამატებით შექმნიან 3,177 ახალ სამუშაო ადგილს.

განხორციელებული ღონისძიებების ფინანსური ინდიკატორების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მოხდა 17.8 მლნ ლარის გაცემა სესხის პროცენტის თანადაფინანსების სახით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ინდუსტრიული მიმართულების ბენეფიციარები სააგენტოს მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ 2 წლის განმავლობაში, შესაბამისად 2018 წლის განმავლობაში ასევე ხდებოდა იმ ბენეფიციარების მხარდაჭერა, რომელთა მიერ პროგრამაში ჩართვიდან 24 თვე არ იყო გასული.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ასევე მოიცავს მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე სამეწარმეო საქმიანობების მხარდაჭერას ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსებისა და ცოდნის მიწოდების გზით. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში 2018 წლის განმავლობაში თბილისის გარდა ქვეყნის რეგიონებში მხარი დაეჭირა 899 ბიზნეს პროექტს (972 ბენეფიციარი), გრანტის სახით გაცემულმა თანხის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა - 8.2 მლნ. ლარზე მეტი, ხოლო პროექტების განხორციელების ჯამური ინვესტიცია შეადგენს - 12.1 მლნ. ლარზე მეტს.



ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით, 2018 წელს გადამზადდა 2,346 ადამიანი. დატრენინგებული ბენეფიციარების რეგიონული გადანაწილება შემდეგნაირია: აჭარა - 253, გურია - 135, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 351, იმერეთი - 359, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 173, კახეთი - 340, შიდა ქართლი - 151, მცხეთა-მთიანეთი - 145, სამცხე-ჯავახეთი - 282, ქვემო ქართლი - 157.

კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში ხელშეკრულება გაფორმდა 8 პროექტზე, რომელთა ჯამური ინვესტიცია 31.8 მლნ. ლარს აღემატება, ხოლო კვალიფიციური ხარჯის მოცულობა 30 მლნ. ლარს სცდება. ამ პერიოდში კვალიფიციური ხარჯი აუნაზღაურდა 4 ბენეფიციარს, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა იყო 7.8 მლნ. ლარი და ანაზღაურებული კვალიფიციური ხარჯის მოცულობა 1.7 მლნ. ლარს შეადგენს.

ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება	2018
მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ბიზნეს პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	390	1012
მოდერნიზებული საწარმოების რაოდენობა (რეგიონების მიხედვით)	რაოდენობა		547
ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა (რეგიონების მიხედვით)	რაოდენობა		465

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
2.1.1. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის სასტუმროების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი	24 07 02	15,000	17.801	119

2.1.2. მიკრო და მცირე საწარმოებისათვის მცირე გრანტების და საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა	24 07 02	10,500	8,271	79
2.1.3. მცირე და საშუალო ბიზნესის ადამიანური რესურსების განვითარება	24 07 02	200	103	52
2.1.4. კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა	24 07 02	2,385	1,713	72

ცხრილში მოცემული რიცხვები მოიცავს მხოლოდ სუბსიდიისა და თანადაფინანსების სახით გაცემულ თანხებს. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის გათვალისწინებული თანხები გადაჭარბებით შესრულდა, სააგენტოს შიდა ბიუჯეტის თანხების რეალოკაციის საშუალებით. მიკრო და მცირე საწარმოებისათვის მცირე გრანტების და საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველსაყოფად გამოყოფილი თანხების 79% გრანტის სახით გაიცა. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით ათვისებულია მხოლოდ გამოყოფილი თანხის ნახევარი (52%) და კინოინდუსტრიის განვითარების მიმართულებით გაიხარჯა მხოლოდ 72% რადგან მომართვიანობა იყო დაბალი.

ღონისძიება 2.2 ინოვაციების ხელშეწყობა

საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის კუთხით საანგარიშო პერიოდში შესრულდა 56 სხვადასხვა ღონისძიება, როგორც ცალკეულ რეგიონებთან დაკავშირებული, ასევე საერთაშორისო ფორმატის. ღონისძიებები ჩატარდა ბათუმში და თელავში, სადაც 30-მდე ქართველი ახალგაზრდა გაეცნო ინოვაციების და ტექნოლოგიების საფუძვლებს, დაესწრო ტრენინგებს და გააკეთა პრეზენტაციები. ბაღდათის ინოვაციურ ცენტრში ჩატარდა ტრენინგი „როგორ გავაკეთოთ ვებსაიტი მარტივად", რომელსაც დაესწრო 30-მდე მონაწილე; ანაკლიაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან პარტნიორობის ფარგლებში, უცხოელ და ქართველ მენტორთა ხელმძღვანელობით გაიმართა მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიებში მომუშავე სტარტაპებს შორის პირველი რეგიონალური თასის (კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების) გათამაშება (welcome challenge).

- დაიწყო მსოფლიო ბანკის თანადაფინანსების გრანტების პროგრამა, გამოცხადდა განაცხადების მიღება. ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებებით (ანდროიდი, ios, voip, helpdesk, გაყიდვები, triz, კიბერ-უსაფრთხოება, front-end მიმართულებებით);
- სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მიერ ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა (Fab talks, LEGO Robotics, Product exhibition და სხვა);
- მიმდინარეობდა მუშაობა ინოვაციის ცენტრების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით; დამყარდა საერთაშორისო ურთიერთობები მრავალ უცხოელ პარტნიორთან ლატვიიდან, ისრაელიდან და კორეიდან.

- დაიგეგმა ღონისძიებები, შეირჩნენ ტრენერები, რომლებიც მოახდენენ ციფრული და ელექტრონული წიგნიერების მიმართულებით რეგიონებში მეწარმეებისა და ოჯახების გადამზადებას, მათ მიერ ონლაინ სივრცეში სხვადასხვა პროდუქტებისა და სერვისების განთავსების ხელშეწყობისა და შემდგომ ინტერნეტის ვაუჩერების მიღების მიზნით;
- გატარდა ღონისძიებები ორგანიზაციის ბიზნეს პროცესების ორგანიზაციულ სტრუქტურაში შესაბამისი ასახვის მიზნით, განხორციელდა ანალიტიკური სამუშაოები;
- გაიმართა სტარტაპ-ბიტსის ღონისძიებები. დაიგეგმა პირველი რეგიონული ბუთქემფი ქართველი და აზერბაიჯანელი სტარტაპერების მონაწილეობით. გატარდა ღონისძიებები ქართული სტარტაპ ეკოსისტემის საერთაშორისო მედიაში წარმოჩენის მიზნით (Emerging Europe);
- ტექნოპარკში გაიმართა ღონისძიება „ქალი და ინოვაცია". გაიმართა ქართული სტარტაპების პირველი შეხვედრა დიდი მონაცემების დამუშავების თემატიკის ირგვლივ (data talks) და ბლოკჩეინ ტექნოლოგიების კვირეული;
- MIT ერთად ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი Arduino, Lego Robotics და Little Bits მიმართულებით;
- მხარი დაეჭირა ქართული სტარტაპების 3 საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობას (ქ. მინსკი, საერთაშორისო გამოფენა/ფორუმი „TIBO 2018"; ქ. ლონდონი, „Google-ის მიერ ორგანიზებული Start-Up Grind" ღონისძიება; ქ. თბილისი, „Google-ის მიერ ორგანიზებული Start-Up Grind" ღონისძიება);
- "UN Women" საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანაორგანიზებით ატარებს ჰაკათონს, რომელიც ემსახურება ქალების ჩართვას ტექნოლოგიურ სფეროში.

გლობალური სამეწარმეო ქსელისა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა გლობალური მეწარმეობის კვირეული, რომელშიც 300-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა მთელი საქართველოს მასშტაბით.

მცირე საგრანტო პროგრამის (5,000 ლარამდე) ფარგლებში 321 საპროექტო განაცხადიდან დაფინანსდა 98 პროექტი (პროტოტიპირება - 19; ღონისძიების ორგანიზება - 28; სამგზავრო - 51); აქედან ერთი დაფინანსებული ბენეფიციარი იყო შიდა-ქართლის რეგიონიდან.

ინოვაციების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში, წილობრივი საგრანტო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციური პროდუქტების (სერვისების), პროცესების თუ ტექნოლოგიების განვითარებასა და დანერგვას, აგრეთვე მათ შემდგომ კომერციალიზაციას. პროგრამა გამიზნულია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია წილობრივი გრანტების საშუალებით ორი სახის მიმართულების დაფინანსება: სტარტაპი და ინოვაცია. სტარტაპის წილობრივი გრანტი დაფინანსდება მაქსიმუმ 100 000 ლარით და 1 წლიანი განხორციელების ვადით, ხოლო განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 10%-იანი თანადაფინანსება. ინოვაციების წილობრივი გრანტი შესაძლებელია დაფინანსდეს მაქსიმუმ 600,000 ლარით და 2 წლიანი განხორციელების ვადით, ხოლო განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 30% იანი თანადაფინანსება. თუმცა, 2018 წელს 100,000 ლარიანი გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ განხორციელებულა.

2018 წლის ნოემბერსა და დეკემბერში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით და ორგანიზებით ჩატარდა IT გადამზადების კურსი თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში, ტრენინგები 3 ეტაპად ჩატარდა ინოვაციების ცენტრებსა და ჰაბებში. ჯამში, გადამზადდა 200-მდე მონაწილე, რომლებიდან 50-მდე მონაწილემ

მოახერხა კურსის წარმატებით გავლა. რამდენიმე მათგანს მიეცა შესაძლებლობა დასაქმებულიყო შესწავლილი მოთხოვნადი პროფესიით საკუთარ რეგიონში ან გაევლო სტაჟირება თბილისში არსებულ IT კომპანიებში.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და კომპანია ლინგვინგის ინიციატივით, 2018 წლის ნოემბერსა და დეკემბერში თბილისიდან საქართველოს რეგიონების (იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, ქართლი) სკოლებისკენ გავიდა „ტექნობასი". პროექტის მიზანია შეიქმნას მოძრავი ავტობუსი, რომელიც რეგიონებში მოახდენს სწავლის თანამედროვე მეთოდების პოპულარიზაციას და ხელს შეუწყობს წარმატებული ახალგაზრდების გამოცდილების გაზიარებას ევროპულ ღირებულებებზე, სტარტაპებსა და მეწარმეობაზე. აღსანიშნავია, რომ პროექტის მეშვეობით 5 კვირის განმავლობაში შედგა 43 შეხვედრა და 5,000-მდე მოსწავლე გაეცნო ინოვაციურ მეწარმეობას, ტექნოლოგიურ საწყისებს და მიიღო დიდი გამოცდილება. ტექნობასის პროექტი განხორციელდა კახეთში, იმერეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში.

აქტივობა „საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)"-ის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დასრულდა 2018 წლის პირველი სტარტაპ თანადაფინანსების გრანტების პროგრამა;
- დასრულდა „ინტერნეტი განვითარებისათვის პროგრამის" ცნობიერების გაზრდის ტრენინგები;
- გაიხსნა რუხისა და ახმეტის ინოვაციების ცენტრები და თელავის ტექნოპარკი;
- დასრულდა „ინტერნეტი განვითარებისათვის პროგრამის" ფარგლებში მიმდინარე საქართველოს რეგიონებში ტურისტული მასპინძლობის სფეროში (hospitality sector) მომუშავე მიკრო, მცირე და საშუალო კომპანიებისთვის ელექტრონულ კომერციაში შესაძლებლობების განვითარების ტრენინგი;
- დასრულდა თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, პროგრამის პირველი რაუნდის მენტორობის სამთვიანი კურსი;
- შეირჩა და დაკონტრაქტდა თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, მეორე რაუნდის შეფასების კომპანია;
- გამოცხადდა და დასრულდა თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, მეორე რაუნდის განაცხადების მიღება;
- გამოცხადდა ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების (GEL 600,000) შეფასების კომპანიის ტენდერი;
- თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის პირველი რაუნდის ბენეფიციარებმა დახურეს იმპლემენტაციის პირველი კვარტალი, შესაბამის სტარტაპებს გადაერიცხათ იმპლემენტაციის მეორე კვარტლის თანხები

ამასთან, დაგეგმილია რეგიონული ტექნოპარკების აღჭურვა კომპიუტერებით კომპიუტერული სწავლებისა და სხვა სასწავლო კურსების ჩასატარებლად. მოეწყობა ფაბრიკაციის (სამრეწველო) ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი იქნება 3D პრინტერით, ლაზერული მჭრელით, კომპიუტერული ხელსაწყოებით და სხვა თანამედროვე აღჭურვილობით. აღნიშნული აპარატურის გამოყენებით ფიზიკური პირები და მეწარმეები შეძლებენ თავიანთი ბიზნეს იდეების რეალიზებას პროტოტიპების (ნიმუშების) შექმნის გზით, მათი შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით. ასევე რეგიონულ ინოვაციების ჰაბებში ჩატარდება სხვადასხვა სახის სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამები.

გარდა ამისა, დაგეგმილია რეგიონული ინოვაციების ჰაბების გახსნა მსხვილ ქალაქებსა და მუნიციპალურ ცენტრებში, ხოლო ინოვაციების ცენტრები გაიხსნება შედარებით მცირე ზომის მუნიციპალურ ცენტრებსა და ქალაქებში/დაბებში.

ღონისძიება	ერთეული	სამიზნე ინდიკატორი	2018
განვითარებული ინოვაციების ინფრასტრუქტურა; შექმნილი/აღჭურვილი რეგიონული ინოვაციების ჰაბები და ინოვაციის ცენტრების რაოდენობა	რაოდენობა	2	2
მხარდაჭერილი საწარმოების/სტარტაპების რაოდენობა	რაოდენობა	50	55
ორგანიზებული ტრეინინგებისა და ღონისძიებების რაოდენობა	რაოდენობა	200	204

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
2.2.1. საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა	24 08 02	3500	2701	77
2.2.1.1 ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება	24 08 02	2610	1958	75
2.2.1.2 ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფა (მათ შორის მიკრო-გრანტების პროგრამის განხორციელება)	24 08 02	390	347	89
2.2.1.3 საქართველოს მასშტაბით ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება	24 08 02	500	426	85

2.2.2 საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)	24 12	7573	2731	36
2.2.2.1. ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა; მიზანშეწონილობის კვლევის შედეგად შერჩეულ საქართველოს მუნიციპალიტეტებში (თავდაპირველად 8 საპილოტე მუნიციპალიტეტი. პროექტის დასასრულისთვის რიცხვმა უნდა მიაღწიოს12 მუნიციპალიტეტს) რეგიონული ინოვაციების ჰაბებისა და/ან ინოვაციების ცენტრების რემონტი, აღჭურვა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	24 12	3298	3298	100
2.2.2.2 ინოვაციების სერვისების განვითარება	24 12	555	95	17
2.2.2.3 ინოვაციების თანადაფინანსება, მ.შ. სტარტაპების საგრანტო თანადაფინანსება, არსებული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის თანადაფინანსება, ინოვაციების დაფინანსების სხვადასხვა სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.	24 12	3720	1863	50

ფინანსური ინდიკატორების მიხედვით, ზოგიერთი ქვე-აქტივობის შესრულებაში ჩამორჩენა შეინიშნებოდა.

ღონისძიება 2.3 სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი

სამიზნე ბაზრებზე საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციამ გამოიწვია მეტი ინტერესი ჟურნალისტებსა და ტურისტული კომპანიებში, რის გამოც დაგეგმილ 5 მლნ ლარის ნაცვლად განხორციელდა დაგეგმილზე მეტი (დაახლოებით 7 მლნ ლარი) პრეს და გაცნობითი ტური თანხით ათასი ლარი, რაც შეადგენს 139.64%.

- 2018 წელს განხორციელდა 146 პრეს და გაცნობითი ტური მსოფლიოს სხვადასხვა მიზნობრივი ქვეყნებიდან. მონაწილეობდა შესაბამისად 700 პრესის წარმომადგენელი და 285 ტურ-ოპერატორი.
- საქართველო წარმოდგენილი იყო 25 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში და 1 საქმიანი ტურიზმის გამოფენაში „**IBTM Arabia 2018“,** რომელიც გაიმართა არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ქ. აბუ დაბიში.
- ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო გერმანიაში ქ. ბერლინში „Berlin Travel Festival“- ში.
- გერმანიაში, ქ. კიოლნში, და ბელგიაში, ქ. ბრიუსელში გაიმართა ახალ პირდაპირ ფრენებთან (კიოლნი - თბილისი, ბრიუსელი - თბილისი) დაკავშირებული პრეზენტაციები.

- ჩატარდა საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის პრეზენტაცია ევროპის 7 ქალაქში. სამიზნე ბაზრები შეირჩა ახალი პირდაპირი ფრენების დანიშვნის გათვალისწინებით - პრაღა, ვენა, ბარსელონა, ბოლონია, რომი, პარიზი, ამსტერდამი.

გეგმის მიხედვით, განხორციელდა აქტივობები სათავგადასავლო, ღვინის და გამაჯანსაღებელი ტურიზმის მიმართულებით: მომზადდა ურეკი-შეკვეთილის სანაპირო ზოლის სანიტარიული დაცვის ზონის პროექტი; დასრულდა პანკისის და ზემო სვანეთის სამთო-საფეხმავლო ბილიკების კვლევა; მომზადდა ღვინის გზის ახალი ობიექტებისთვის მანიშნებლების პროექტი, რომელის ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდება 2019 წელს. დაიბეჭდა ღვინის გზის კატალოგი ინგლისურ და რუსულ ენებზე. ბიუჯეტის სამიზნე მაჩვენებელი იყო 170,000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინე 282,000 ლარი (165.88% შეასრულება). ეს აიხსნება შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ღვინის გზის პროექტის ფარგლებში ობიექტებისათვის მანიშნებლების პროექტის მომზადების ხარჯი დამოკიდებულია სამუშაოს მოცულობაზე, ხოლო სამუშაოს მოცულობა, ხოლო ობიექტების რაოდენობა წლის დასაწყისში უცნობია. ანალოგიურია მდგომარეობა მარშრუტების დაგეგმარების პროექტის ფარგლებშიც. ტურისტული პროდუქტის განვითარების კუთხით შესრულებელი სამუშაო რეგიონების მიხედვით განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: ღვინის ტურიზმი: კახეთი - 45,000 ლარი, სამეგრელო - ზემო სვანეთი - 30,000; გურია - 118,800. დარჩენილი გახარჯული თანხის იდენტიფიცირება რეგიონების მიხედვით ვერ ხდება, რადგან პროექტები მთელს საქართველოს ფარავს.

მცირე ზომის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, ხევსურეთის ყველაზე მონახულებად ადგილებში განთავსდა საინფორმაციო დაფები და ტურისტულად საინტერესო ობიექტების მიმართულების მანიშნებლები (7,000 ლარი); განხორციელდა ღვინის გზის ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც მოიცავდა ახალი ობიექტების მანიშნებლების მონტაჟს, დასუფთავდა ქ. თბილისის მასშტაბით არსებული მანათობელი კონსტრუქციები. ბიუჯეტის სამიზნე მაჩვენებელი იყო 870,000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 251,000 ლარი (28.85 % შეასრულება). შესრულების ეს მაშვენებელი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 2-ჯერ ჩავარდა სათავგადასავლო ბილიკების მარკირების პროექტი ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რეგიონებსა და პანკისის ხეობაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 35 მარკეტინგული აქტივობა, პროექტ „Check in Georgia"-ს ფარგლებში, ჩატარდა ტურისტულად მნიშვნელოვანი 42 ღონისძიება, მომსახურების ხარისხის განვითარების კუთხით ჩატარდა 13 ტრენინგი და გაიმართა 15 ღონისძიება, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მხრივ ჩატარდა ოთხი ღონისძიება, ასევე ჩატარდა სამი ღონისძიება უკვე არსებული განვითარებული ტურისტული პროდუქტის მეტი გაუმჯობესების კუთხით.

განხორციელდა 22 პრეს ტური ქართველი ჟურნალისტების მონაწილეობით, ასევე რეგიონებში გაიმართა სხვადასხვა გასართობი ღონისძიება.

პროექტ „Check in Georgia"-ს ფარგლებში, ტურისტულად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონში. ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით მომსახურების ხარისხის განვითარების კუთხით ჩატარდა 13 ტრენინგი.

ამასთან, 2018 წელს დაგეგმილი იყო ინდუსტრიაში დასაქმებული 1,000 ადამიანის გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით. ადმინისტრაციის მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით გადამზადდა 1,254 ადამიანი. ბიუჯეტის სამიზნე მაჩვენებელი იყო 350,000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინე 515,000 ლარი (147.14% შეასრულება). ეს

გამოწვეულია რამოდენიმე გარემოებით: ტრენინგები ადმინისტრაციის მხრიდან იგეგმება კერძო სექტორის ინტერესიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, ამდენად რთულია წინასწარ მონაწილეთა რაოდენობებისა და ტრენინგის თემატიკის ზუსტი განსაზღვრა (2018 წელს 254 ადამიანით მეტი გადამზადდა). გარდა ტრენინგებისა, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა მარკეტინგული კამპანია "კეთილი განწყობით", რომლის მთავარი მიზანი იყო ინდუსტრიაში არსებული დაბალი და საშუალო რგოლის პროფესიების პოპულარიზაცია. ტრენინგებზე გაწეული დანახარჯი რეგიონების მიხედვით გადანაწილებულ იქნა შემდეგნაირად: აჭარა - 5000; გურია - 5000; იმერეთი - 42,000; კახეთი - 22,000; მცხეთა-მთიანეთი - 27,000; რაჭა-ლეჩხუმი - 5,000; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 13,000; სამცხე-ჯავახეთი - 13,000; ქვემო ქართლი - 10,000; შიდა ქართლი - 25,000.

		2018	
მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ტურისტული სექტორის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	რაოდენობა	1,000	1,254
ტურიზმის მარკეტინგული ღონისძიებების რაოდენობა	რაოდენობა	250	279
ახალი ტურისტული პროდუქტების რაოდენობა	რაოდენობა	3	3
მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	3	3

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
2.3.1. საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობები და პრეს და ინფო ტურები	24 05 02	6,982	6,982	100
2.3.2. რეკლამა და მარკეტინგული კამპანიები/აქტივობები	24 05 02	23,285	20,203	87
2.3.3. ტურისტული პროდუქტების განვითარება	24 05 02	282	282	100
2.3.4. მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	24 05 02	870	251	29
2.3.5 ტურიზმის სფეროში ხარისხის განვითარება	24 05 02	515	515	100
2.3.6. პროექტი "Ckeck-in Georgia"	24 05 02	20,520	14,820	72

ტურიზმის ხელშეწყობის ზოგიერთი ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხების ათვისებამ 2018 წლის გეგმას გადააჭარბა ან ახლოს იყო მთლიან ათვისებასთან (87% და 72%). ეს ღონისძიებები ეხებოდა სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობასა, პროდუქტებისა და ხარისხის განვითარებას, რაც ტრენინგებს და მარკეტინგულ აქტივობებს მოიცავდა. ამავე დროს მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ათვისებამ მხოლოდ 29% პროცენტი შეადგინა, რაც მხოლოდ 1/3 წარმოადგენს და მიუთითებს სამუშაოს შედარებით ნელ ტემპებზე.

ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა

საანგარიშო პერიოდში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის გაცემული სესხების რაოდენობამ სულ 4,149 ერთეული შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, გაიხსნა და გადაიარაღდა/გაფართოვდა/მოდერნიზება მოხდა 74 ახალი და უკვე არსებული საწარმო. გაიხსნა 19 ახალი საწარმო და სულ ახალ გახსნილ საწარმოებში განხორციელდა 29,982 მლნ. ლარის ინვესტიცია.

2018 წელი - შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტის მონაცემები რეგიონების ჭრილში				
რეგიონი	სესხების რ-ბა	ბენეფიციარების რ-ბა	ბანკების მიერ გაცემული კრედიტი (ლარი)	სააგენტოს თანადაფინანსება (%-ის წილის დაფარვა) (ლარი)
აჭარა	28	23	1,894,055	863,930
გურია	44	41	3,335,950	906,132
თბილისი	69	61	14,983,808	2,712,839
იმერეთი	247	222	12,667,403	2,473,974
კახეთი	2,252	1,991	148,302,744	31,159,208
მცხეთა-თიანეთი	78	66	7,348,454	1,614,612
რაჭა-ლეჩხუმი	24	21	5,023,074	652,988
სამეგრელო-ზემო სვანეთი	359	322	18,949,697	4,248,328
სამცხე-ჯავახეთი	298	282	11,699,340	1,938,106
ქვემო ქართლი	236	203	25,068,977	6,387,432
შიდა ქართლი	521	454	32,229,064	7,222,148
სულ	**4,156**	**3,673**	**281,502,565**	**60,179,696**

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ იქნა 11,557 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთები, გაიცა 12,574 დაზღვევის პოლისი და დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ 85,781,348 ლარს შეადგენა.

აგროდაზღვევის პროგრამის 2018 წლების მონაცემები რეგიონების ჭრილში					
რეგიონი	პოლისების რ-ბა	ბენეფიციარების რ-ბა	დაზღვეული მოსავლის ფართობი (ჰა)	დაზღვეული მოსავლის ღირებულება (ლარი)	სააგენტოს თანადაფინანსება (ლარი)
აჭარა	449	412	152	1,134,946	99,087
გურია	67	60	25	118,824	5,985
თბილისი	3	3	1	3,270	173
იმერეთი	2,012	1,476	560	1,683,325	76,965
კახეთი	5,966	2,915	6,224	45,771,685	2,265,845
მცხეთა-თიანეთი	55	47	17	87,563	4,729
რაჭა-ლეჩხუმი	87	79	14	70,250	3,002
სამეგრელო-ზემო სვანეთი	917	866	508	2,477,633	110,928
სამცხე-ჯავახეთი	554	325	516	4,814,170	282,425
ქვემო ქართლი	664	579	2,015	4,862,560	246,304
შიდა ქართლი	1,710	1,058	1,525	24,757,121	1,379,448
სულ	**12,574**	**7,816**	**11,557**	**85,781,348**	**4,474,889**

ახალი საწარმოების ხელშეწყობის ფარგლებში 2081 წელს გაიხსნა და მოქმედებს 41 ახალი საწარმო.

2018 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტში ჩართული კომპანიების მონაცემები			
რეგიონი	**საწარმოების რ-ბა**	**თანადაფინანსების მოცულობა**	**ჯამური ინვესტიცია (ლარი)**
გადამამუშავებელი საწარმოები	**5**	**2,146,636**	**5,637,164**

კახეთი	3	1,170,200	3,133,550
რაჭა-ლეჩხუმი	1	600,000	1,562,524
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	376,436	941,090
შემნახველი საწარმოები	**8**	**4,469,748**	**11,369,276**
კახეთი	2	1,124,772	2,529,550
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	344,976	862,440
შიდა ქართლი	5	3,000,000	7,997,286
სულ	**13**	**6,616,384**	**17,006,440**

2018 წელს ღონისძიების ფარგლებში შეიქმნა 15 ახალი კოოპერატივი და საანგარიშო წლის ბოლოსთვის საქართველოს მასშტაბით, რეგისტრირებული იყო 1,106 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული:

კახეთი - 120; ქვემო ქართლი - 126; შიდა ქართლი - 86; მცხეთა მთიანეთი - 55; სამცხე ჯავახეთი - 221; იმერეთი - 122; რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი -97; სამეგრელო ზემო სვანეთი - 100; გურია - 44; აჭარა - 84; თბილისი - 51.

მეღვინეობის განვითარების ფარგლებში გრძელდებოდა ვენახების ეროვნული კადასტრის შექმნის სამუშაოები - გურჯაანის მუნიციპალიტეტის 10 სოფელში აღრიცხული იქნა 4,657 ჰექტარი ვენახი.
2018 წელს ექსპორტირებულ იქნა ბოლო 30 წლის რეკორდული მაჩვენებელი - 86,194,288 ბოთლი ღვინო, რაც 13%-ით აღემატებოდა 2017 წლის ექსპორტის მოცულობას. მთლიანობაში - ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 306,5 მლნ აშშ დოლარს შეადგინა.

		2018	
	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პროექტებში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა პროექტების/პროგრამების ჭრილში	**რაოდენობა**	18,316	11,505
მხარდაჭერილი კოოპერატივების რაოდენობა	**რაოდენობა**		18

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
2.4.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, ლიზინგით, საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებით, სესხის უზრუნველყოფითა და აგრო-დაზღვევით	31 05 02; 31 05 03; 31 05 06; 31 05 07.	70,300	72,844	104
2.4.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა	31 06 (გარდა 31 06 01, 31 06 05)	6,610	8,467	151
2.4.3. მეღვინეობის განვითარება	31 03 (გარდა 31 03 01, 31 03 04, 31 03 03, 31 03 06)	471	445	94
2.4.4. სოფლის მეურნეობის სხვა სექტორების განვითარება/დივერსიფიკაცია.	31 05 07	261	270	103

ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა

საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზების ფარგლებში, 2018 წელს „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტი მიზნად ისახავდა 100 ექსპორტიორი კომპანიის მონაწილეობას სააგენტოს მიერ ორგანიზებულ და თანადაფინანსებულ საერთაშორისო გამოფენებში. ამავე წელს სააგენტომ უზრუნველყო 23 საერთაშორისო გამოფენის ორგანიზება და ჯამურად, საერთაშორისო ღონისძიებებში 184-მა ექსპორტიორმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, რაც 1.84 ჯერ აღემატება სამიზნე მაჩვენებელს.

2018 წელს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მიზნად ისახავდა 50 ექსპორტის მენეჯერის გადამზადებას ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსის საშუალებით. სააგენტოს ექსპორტის დეპარატმენტმა წინა წელს 2-ჯერ განახორციელა აღნიშნული კურსი, ერთი თბილისში, რომელსაც 43 მსმენელი დაესწრო, ხოლო მეორე ბათუმში (პირველად

რეგიონში), რომელსაც 25 პირი დაესწრო. შესაბამისად, მიზნობრივ მაჩვენებელთან შედარებით 1.36 ჯერ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლების მიზნით, 2018 წელს ღონისძიებები ჩატარდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის, საქართველოს ფარგლებში ჩატარდა ახალი ღვინის ფესტივალი, ღვინის საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia 2018, სომელიეთა მსოფლიო კონგრესი, ქართული ღვინის თვე „ღვინობისთვე“ და ღვინის ტურები უცხოელი პროფესიონალებისათვის. ამ ქვე-პროგრამის რეალიზაციის მიზნით, საანგარიშო წელს მთლიანად საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებების გასამართად გახარჯული იქნა 6.6 მლნ ლარი.

მთლიანობაში - ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 306.5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ 2017 წელთან შედარებით 7%-ს მიაღწია.

2018 წელს საქართველოში ორგანიზებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებიდან რეგიონებში 8 ჩატარდა თბილისში, 3 კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და გურიაში.

		2018	
მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პროექტებში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა პროექტების/პროგრამების ჭრილში	რაოდენობა	250	284
მხარდაჭერილი კოოპერატივების რაოდენობა	რაოდენობა	50	68

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
2.5.1 მცირე და საშუალო ბიზნესის საქართველოს საექსპორტო სტრატეგიის შემუშავება	n/a	0	0	0
2.5.2 საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზება	24 07 02	1830	2056	112
2.5.3. უცხოელი მყიდველების დაკავშირება ქართველ მწარმოებლებთან	0	0	0	0
2.5.4 ქართული პროდუქციისა და მომსახურების პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე	49 00	0	0	0
2.5.5. საზღვარგარეთ ქართული ვაზის და ღვინის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა	31 03 06 და 31 03 03	7010	6873	98
2.5.6. საქართველოში საექსპორტო პროცედურების შესახებ ინფორმაციისა და უცხოურ ბაზრებზე საბაჟო ტარიფების შესახებ ინფორმაციის მიწოდება	49 00	0	0	0
2.5.7. ექსპორტის გზამკვლევის მომზადება	n/a	0	0	0
2.5.8. ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსი	24 07 02	100	53	53

აღნიშნული ღონისძიებით გათვალისწინებული ყველა აქტივობა არ შესრულებულა 2018 წელს, ხოლო ექსპორტის მენეჯერთა კურსის ჩატარებისთვის გამოყოფილი თანხის 53%-ის ათვისება მოხდა, რაც ტრენერთა არასაკმარისი რაოდენობით იყო გამოწვეული.

ღონისძიება 2.6 ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

2018 წლის განხორციელებული 7 საინვესტიციო პროექტიდან 2 განხორციელდა იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში. ამ 7 პროექტის შედეგად, შეიქმნა 700 სამუშაო ადგილი, ხოლო პროექტების საინვესტიციო მოცულობაა 103 მლნ. ლარი შეადგინა. 2018 წელს „აწარმოე საქართველოში“ ინვესტიციების დეპარტამენტის ბიუჯეტი შეადგენდა 938,000 ლარს.

იმერეთში რუმინული ტანსაცმლის მწარმოებელმა კომპანია Ottorose-მ ქართველ პარტნიორებთან ერთად გახსნა სამკერვალო ქარხანა ქ. ქუთაისში. დასაქმდა 300 ადამიანი და იგეგმება აღნიშნული რიცხვის 1,000-მდე ზრდა. საწყის ეტაპზე საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 3 მილიონ ლარს.

ქვემო-ქართლის რეგიონში ირანული ჰოლდინგი Golriz Qom Industrial Group (GQIG) საქართველოში იწყებს ძაფის წარმოებას, რომელიც მიიღება PET პროდუქტების გადამუშავებით. პროექტის საინვესტიციო კაპიტალი შეადგენს 7-8 მილიონ აშშ დოლარს და დაგეგმილია 100-მდე ადამიანის დასაქმება.

		2018	
მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
„აწარმოე საქართველოში - ინვესტიცია" პროგრამის ფარგლებში წამოწყებული ახალი საინვესტიციო პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	7	7

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა				
თბილისისა და ბათუმის გარდა საქართველოს ყველა რეგიონში სასტუმროების ინდუსტრიაში ჩართული მეწარმეების მხარდაჭერა (ტექნიკური და ფინანსური დახმარება - ფრენჩაიზი/მენეჯმენტის კონტრაქტების თანადაფინანსება და საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების განვითარება)	24 07 02	1,500	388	26

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა და პოტენციური უცხოელი ინვესტორების მხარდაჭერა სსიპ „აწარმოე საქართველოში“	24 07 02	938	735	78

სასტუმროების ინდუსტრიაში ჩართული მეწარმეების მხარდაჭერის მიმართულებით მომართვიანობა დაბალი იყო და შესაბამისად მოხდა გამოყოფილი თანხის მხოლოდ 26% ის ათვისება.

დაინტერესებული მეწარმეებისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებებით 2018 წელს არ შესრულებულა, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისა და პოტენციური უცხოელი ინვესტორების მხარდაჭერის მიმართულებით ფინანსურმა მაჩვენებელმა 78% შეადგინა.

პრიორიტეტი 3: ადამიანური კაპიტალის განვითარება

ღონისძიება 3.1 ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება

რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია დასრულდა სკოლების 91%-ში. საზაფხულო სკოლებში მოსწავლეების დაგეგმილი რაოდენობის 93% იყო ჩართული, ხოლო გადამზადებული პედაგოგთა რაოდენობამ დაგეგმილს 1.5 ჯერ გადააჭარბა.

		2018	
	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა	რაოდენობა	400	365
საზაფხულო სკოლის პროგრამაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა	რაოდენობა	1,300	1,220
გადამზადებული პედაგოგების რაოდენობა	რაოდენობა	23,000	34,795
სასკოლო პროექტების რაოდენობა სხვადასხვა მიმართულებით	რაოდენობა	800	810

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
3.1.1. რეგიონებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ადაპტირებული ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება	32 07 02 01; 32 07 02 05	99,173	70,343	71
3.1.2. თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაზრდა	32 10; ნაწილი კოდიდან 32 09			
3.1.3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;	32 02 02;	21,504	18,403	86

3.1.4. სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა	32 02 12	560	554	99
3.1.5. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	32 03 11	22,344	22,344	100
3.1.6. მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდა, მ.შ. წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება და სწავლა და დასვენება ერთად.	32 02 04, 05; 32 08 03; 04 32 02 07	5,300	5,250	99

რეგიონებში სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით თანხის 71% პროცენტი აითვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით - 86%. დანარჩენი მიმართულებით თანხა სრულად იქნა ათვისებული.

ღონისძიება 3.2 პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება

2018 წელს დასრულდა 3 კოლეჯის რეაბილიტაცია, 1 ახალი კოლეჯის მშენებლობა, დაიწყო 1 კოლეჯის მშენებლობა და უკვე არსებული კოლეჯის 2 ფილიალის მშენებლობა. ასევე, 2018 წელსვე დასრულდა 1 კოლეჯის აღჭურვა.

2018 წელი:

- დასრულდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სს ,,M² უძრავი ქონება“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაფუძნებული კოლეჯის - ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ რეაბილიტაცია, რის საფუძველზეც 2019 წლიდან რეგიონის მაცხოვრებლებს საშუალება მიეცათ, ჩაირიცხონ სამშენებლო მიმართულების დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. კოლეჯში ასევე ხელმისაწვდომია საერთო საცხოვრებელი;
- დასრულდა სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ ფილიალის მშენებლობა ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში, რომელმაც 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე მიიღო სტუდენტები;
- კოლეჯის დაფუძნების მიზნით სამშენებლო სამუშაოები დაიწყო კასპის მუნიციპალიტეტში;
- დასრულდა ხულოს მუნიციპალიტეტში სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ (ქობულეთი) ფილიალის რეაბილიტაცია;
- მომზადდა პროექტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორაბერეჟოულში და ქ. ჩოხატაურში ახალი ლოკაციების დაფუძნების მიზნით, რომლებიც იქნება ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ (ქ. ოზურგეთი) ფილიალები;

გარდა ახალი ლოკაციების განვითარებისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება (რეაბილიტაცია/აღჭურვა). ასევე, 2018 წელს დასრულდა სსიპ კოლეჯის „იბერია“ სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა ქ. ქუთაისში და მოხდა მისი აღჭურვა, რაც შესაძლებლობას აძლევს ქ. ქუთაისიდან მოშორებით მცხოვრებ პირებს ჩაირიცხონ კოლეჯში და ისარგებლონ სტუდენტური საერთო საცხოვრებლით.

2018 წელს განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, აჭარის რეგიონებში 8 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების აღჭურვა. აღჭურვისათვის ჯამში გამოიყო 569 ათასი ლარი.

2018 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, აჭარის, ქვემო ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში 10 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რუსთავში (ქვემო ქართლი) არსებულ კოლეჯში „მოდუსი“ დაიწყო სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსება გამოიყო წალენჯიხისა (სსიპკოლეჯი „ლაკადა“) და წინამძღვრიანთკარის (სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი) კოლეჯების საერთო საცხოვრებელების მოწყობის მიზნით. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილობრივი და სრული რეაბილიტაციისათვის ასევე ახალი ლოკაციების განვითარებისთვის ჯამში გამოიყო 12.4 მლნ ლარი.

2018 წლის მდგომარეობით დაწესებულებებში დანერგილი მოდულური პროგრამების რაოდენობამ შეადგინა - 110. ასევე, 2016 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო პროგრამების განხორციელება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით (ე.წ. დუალური პროგრამები). 2018 წლის მდომარეობით სისტემაში დანერგილია 24 დუალური პროგრამა სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებით. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) საგრანტო პროექტის ფარგლებში მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 40-ზე მეტი პროგრამა, რომელთა ძირითადი ნაწილიც დაინერგა 2018 წელს. მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით, მომზადდა და სავალდებულო მოდულად განისაზღვრა სამეწარმეო მოდული. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფუნქციონირებს 14 სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორია (ფაბლაბი), რომელიც სტუდენტებს ეხმარება სამრეწველო იდეების განვითარებასა და განხორციელებაში.

2018 წელს განხორციელდა 118 მხარდაჭერისა და 6 ვერიფიკაციის ვიზიტი. თავის მხრივ, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მთელი წლის მანძილზე განახორციელა 100 - მდე საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებულ პირებთან. 2018 წელს ქვე-პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები, სემინარები და ტრენინგები მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარების ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით.

ახალი მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესში ჩართული იყო რეგიონებში მდებარე ყველა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. ხოლო დუალური პროგრამები დანერგილია 7 რეგიონში. რეგიონების მიხედვით დანერგილი მოდულური(დუალური) პროგრამების რაოდენობა: აჭარა-53 (მათ შორის 12 დუალური), გურია - 6, იმერეთი -27, კახეთი 20 (მათ შორის 4 დუალური), მცხეთა-მთიანეთი 8 (მათ შორის 2 დუალური), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 2 (მათ შორის 1 დუალური), სამეგრელო-ზემო სვანეთი - 22 (მათ შორის 1 დუალური), სამცხე-ჯავახეთი - 16 (მათ შორის 4 დუალური), ქვემო ქართლი-9, შიდა ქართლი-13 (მათ შორის 1 დუალური). დაწესებულებები აღიჭურვნენ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განმავითარებელი აქტივობების განხორციელება კოლეჯებისა და საჯარო სკოლების ურთიერთთანამშრომლობით. პროგრამა მოიაზრებს კურსების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მოწესრიგებასა და „მცირე პროფესიული ლაბორატორიების“ მოწყობას. კურსების

ფარგლებში აღნიშნულ პროგრამაში 2018 წელს ჩაერთო 9 რეგიონის 188 საჯარო სკოლის 4 000 ზე მეტი მოსწავლე.

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითრების პროგრამაში 2018 წელს ჩართო 9 რეგიონის (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი) 188 საჯარო სკოლის 4 ათასზე მეტი მოსწავლე (1,529 მლნ ლარი.)

		2018	
	საზომი ერთეული	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**
ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ან არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალი ფილიალები	რაოდენობა	2	3
შრომითი/პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩართული პირები	რაოდენობა	n/a	4,000
პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები	რაოდენობა	1,200	1,277
სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულები	რაოდენობა	n/a	6
სისტემაში დანერგილი დუალური / მოდულური პროგრამები	რაოდენობა	9	110

ღონისძიება 3.3 უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა

		2018	
	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ჩატარებული საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) რაოდენობა	რაოდენობა	1	1

წარმატებულ სტუდენტებზე გაცემული სტიპენდიების რაოდენობა	რაოდენობა	2701	2701
გაცემული სახელმწიფო სასწავლო გრანტების რაოდენობა	რაოდენობა		199
პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობენ უმაღლეს განათლებას	რაოდენობა	7	7
ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური შეფასების დასკვნები	რაოდენობა	27	29

უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებული ფიზიკური ინდიკატორები მთლიანად შესრულდა სამიზნე მაჩვენებლებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უფლების სახელმწიფო გრანტები მოიპოვეს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებმა სტუდენტებმა.

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი	ფაქტობრივი შესრულება	შესრულება (%)
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა				
3.3.1. სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება; უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება და მართვა	32 04 02; 32 01 03; 32 04 04	139,695	135,167	97
3.3.2. უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	32 04 03, 32 04 05	348,653	292,720	84

სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისების კუთხით თანხის ათვისებამ 97% შეადგინა, ხოლო უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიმართულებით - 84%.

ღონისძიება 3.4 კვლევითი სექტორის მხარდაჭერა

აქტივობა 3.4.5 – „სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობის“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ქვე-პროგრამები:

- საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა;
- ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა;
- საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა - გაუმჯობესების მიზნით

		2018	
	საზომი ერთეული	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**
კვლევებისათვის გაცემული სახელმწიფო გრანტების რაოდენობა	რაოდენობა	127	175

რეგიონებში არსებულ უმაღლესი სასწავლებლებს შორის სამეცნიერო სასწავლო გრანტები განაწილდა შემდეგნაირად:

რეგიონი	გრანტის ოდენობა (ლარი)
აჭარის არ	404,603
იმერეთი	147,300
კახეთი	180,000
შიდა ქართლი	40,696

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
3.4.1. სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	32 05 01- ადმინისტრირება 1180	29,736	29,719	100

3.4.2. სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამების შემუშავება	32 05 02	6,928	6,009	87
3.4.3. მეცნიერების პოპულარიზაცია	32 05 05	4,000	3,820	96
3.4.4. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	32 05 04	23,165	22,661	98
3.4.5. სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა	31 04 (გარდა 31 04 01)	3,401	3,222	95

კვლევების კუთხით სამეცნიერო პროგრამების კუთხით თანხის ათვისებამ 87% შეადგინა, დანარჩენი ღონისძიების ფარგლებში თანხების ათვისებამ 95%-დან 100-% მდე შეადგინა.

ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა

2018 წელს განხორციელდა „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“, რომლის მიზანია ტურიზმის ინდუსტრიაში ადამიანური კაპიტალის უნარებზე დამსაქმებელთა მოთხოვნის გამოვლენა. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს 2017 წელს განხორციელებული „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ გაგრძელება. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა და „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“ განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით.

		2018	
მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**
3.5.1 სახელმწიფო დასაქმების პორტალი შექმნილია და ფუნქციონირებს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა worknet.gov.ge	რაოდენობა	n/a	n/a
3.5.2 შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა შექმნილია და გამოიყენება	რაოდენობა	n/a	n/a
3.5.3 ჩატარებულია ბიზნეს სექტორის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა	რაოდენობა	1	1

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
3.5.1. შრომის ბაზრის ანალიზი, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება	24 01 05	51,106	51,106	100
3.5.2. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება	35 05 02; 27 05 02	512	479	94
3.5.3. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	35 05 04; 27 05 04	2,090	2,084	100

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების მიმართულებით ათვისებამ შეადგინა 94%, ხოლო სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით - 100%.

ღონისძიება 3.6 მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა

2018 წელს განხორციელდა იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლებით უზრუნველყოფა. რეგიონში მცხოვრები პირებისთვის შეიძინეს საცხოვრებელი ფართები ახალაშენებულ კორპუსებში: ქ. ბათუმი - 164 ბინა, ქ. მარნეული - 22 ბინა, ვაზიანი (რეაბილიტაცია) – 40 ბინა; ანაკლია - 14 ბინა; ქუთაისი - 52 ბინა; ზუგდიდი - 240 ბინა; გორი - 34 ბინა. საერთო ჯამში საქართველოს რეგიონებში გრძელვადიანი საცხოვრებლებით დაკმაყოფილდა 565 დევნილი ოჯახი. მოხდა კერძო საკუთრებაში არსებული 692 სახლის/ბინის შესყიდვა.

2018 წელს განხორციელდა დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 316 დევნილმა (დაგეგმილის 82%).

რეგიონების მიხედვით მათი რაოდენობა ასეთნაირად განაწილდა:

რეგიონი	ბენეფიციართა რაოდენობა
აჭარის არ	8
გურია	2
იმერეთი	20
კახეთი	6
მცხეთა-მთიანეთი	5

სამეგრელო-ზემო სვანეთი	134
სამცხე-ჯავახეთი	1
ქვემო ქართლი	9
შიდა ქართლი	38
თბილისი	110

		2018	
	საზომი ერთეული	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის აშენებული ან შეძენილი საცხოვრებელი ფართი	რაოდენობა	500	1,516
იმ დევნილთა რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დევნილთა პროფესიული განათლების და თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამებში	რაოდენობა	385	316
პროფესიულ განათლებაში, ტრენინგებსა და უნარ-ჩვევების განვითარებაში მონაწილე სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა (განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდები, სსსმ და შშმ პირები) რაოდენობა	რაოდენობა	0	0
ეკომიგრანტებისთვის გრძელვადიანი საცხოვრისის უზრუნველყოფა.	რაოდენობა	140	142

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა				
3.6.1. დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	27 06 03	121,348	121,209	100

3.6.2. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	27 01 07	565	551	98
3.6.3. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	32 08	7,357	4,909	67
3.6.4. ეროვნული უმცირესობების პროფესიული და სახელმწიფო ენის პროგრამით გადამზადება	32 03 03	4,748	2,676	56
3.6.6. დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია	27 06 01	650	650	100

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით, ერთჯერადი ფულადი დახმარებით და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ათვისება სრულად მოხდა 2018 წელს. ასევე, სრულად აითვისა თანხები სხვა ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით და დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით. სრული ათვისება ვერ მოხდა ახალგაზრდულ პროგრამებისა და ეროვნული უმცირესობების პროფესიული და სახელმწიფო ენაში გადამზადების მიმართულებით.

ღონისძიება 3.7 სოციალური ინკლუზია

სოციალური ინკლუზიის ფარგლებში შედის მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება, რომლიც ყოველწლიურად ხორციელდება და მოიცავს სხვადასხვა ჯგუფებისთვის მიზნობრივი დახმარების გაცემას. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში კი ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება. სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სტუდენტებს უფინანსდება სწავლა. 2018 წელს სწავლა დაუფინანსდა დაგეგმილზე მეტ სტუდენტს.

	საზომი ერთეული	2018	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მიზნობრივი ჯგუფებისთვის გაწეული სოციალური დახმარების ოდენობა	მლნ. ლარი	640,696	640,662

სოციალურად დაუცველი სტუდენტების რაოდენობა უმაღლესი განათლების ხარჯების თანადაფინანსებით	რაოდენობა	497	560

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
3.7.1. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება	35 02 02	640,696	640,662	100
3.7.2. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა	35 02 03	26,702	26,501	99
3.7.3 განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების ბავშთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობა	32 06	3,026	3,021	100
3.7.4. ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა	32 06 (გარდა 32 06 02)	1,823	1,806	99

2018 წელს ორივე პროგრამის მიხედვით ფინანსური სახსრები სრულად იქნა ათვისებული. დახმარება მიიღო ყველა რეგიონში მცხოვრებმა მოსახლეობამ. ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის კუთხით, ათვისებულ იქნა გამოყოფილი თანხის 67%.

პრიორიტეტი 4: ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე

ღონისძიება 4.1 რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის სხდომებზე და შერჩეული პროექტების საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად მომზადდა და დამტკიცდა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულება. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად მუნიციპალიტეტებს პროექტების განსახორციელებლად გამოეყოთ 247.5 მლნ. ლარი. მუნიციპალიტეტების თანადაფინანსების გათვალისწინებით სულ დაფინანსდა 277.8 მლნ. ლარის ღირებულების 808 ინფრასტრუქტურული პროექტი. რეგიონების მიხედვით ეს სამუშაოები შემდეგნაირად განაწილდა:

- გურიის რეგიონში დაფინანსდა 15.3 მილიონი ლარის ღირებულების 43 პროექტი;
- იმერეთის რეგიონში დაფინანსდა 65.4 მილიონი ლარის ღირებულების 226 პროექტი;
- კახეთის რეგიონში 2018 წელს დაფინანსდა 35.2 მილიონი ლარის ღირებულების 163 პროექტი;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2018 წელს დაფინანსდა 17.6 მილიონი ლარის ღირებულების პროექტი;
- რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი რეგიონში 2018 წელს დაფინანსდა 11.9 მილიონი ლარის ღირებულების 32 პროექტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი რეგიონში 2018 წელს დაფინანსდა 36.7 მილიონი ლარის ღირებულების 113 პროექტი;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2018 წელს დაფინანსდა 19.5 მილიონი ლარის ღირებულების 47 პროექტი;
- ქვემო ქართლი რეგიონში 2018 წელს დაფინანსდა 26.5 მილიონი ლარის ღირებულების 63 პროექტი;
- შიდა ქართლი რეგიონში 2018 წელს დაფინანსდა 19.4 მილიონი ლარის ღირებულების 39 პროექტი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანხები 2018 წელს ძირითადად შემდეგი მიმართულებების მიხედვით განაწილდა:

- გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია – 189,3 მლნ. ლარის ღირებულების 547 პროექტი;
- წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია – 20,2 მლნ. ლარის ღირებულების 89 პროექტი;
- საბავშვო ბაღების მშენებლობა – 8,1 მლნ. ლარის ღირებულების 37 პროექტი;
- კეთილმოწყობა - 4,8 მლნ. ლარის ღირებულების 27 პროექტი;
- სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია – 6,0 მლნ. ლარის ღირებულების 24 პროექტი;
- მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაცია – 4,1 მლნ. ლარის ღირებულების 22 პროექტი;
- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია – 3,0 მლნ. ლარის ღირებულების 14 პროექტი;

- დასვენების ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია – 3.3 მლნ. ლარის ღირებულების 11 პროექტი.

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
4.1.1 ადგილობრივი, ენდოგენური განვითარების წახალისება	25 03 01; 25 03 04; 25 03 05; 25 03 06; 25 03 07	122,700	116,900	95
4.1.1.1 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები	56 08	1,042	881	85
4.1.1.2 სპორტული მოედნებისა და კომპლექსების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა	25 03 07	28,546	29,650	104
4.1.1.3 წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების განვითარება	25 04 01; 25 04 02	0	0	0
4.1.1.4 ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა	25 03 01; 25 03 04; 25 03 05; 25 03 06; 25 03 07	28,546	29,650	104

აღნიშნული ღონისძიებით გათვალისწინებული რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდის ფარგლებში დასაფინანსებლ პროექტებზე გამოყოფილი თანხის 85% აითვისა.

ღონისძიება 4.2: სოფლის განვითარება

- ანგარიშგება არ ხორციელდება რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში.

ღონისძიება 4.3. მაღალმთიანი დასახლებების განვითარება

სოციალური შეღავათები

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათების გასაწევად 2018 წლის განმავლობაში მიემართა სულ - 68.7 მლნ ლარი.

საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის, რომლებიც იღებენ სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით, პენსიის 20%-ის ოდენობით ყოველთვიური დანამატის გაცემაზე 2018 წელს სულ მიემართა 29.1მლნ ლარი. დახმარება გაცემულია საშუალოდ 67 ათას პენსიონერზე.

სოციალური პაკეტის მიმღებ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით ყოველთვიური დანამატის გაცემაზე 2018 წელს სულ მიემართა 3.6 მლნ ლარი. დანამატი გაცემულია საშუალოდ 13 ათას პირზე.

2018 წელს დანამატი გაიცა მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება. აღნიშნული შეღავათის გასაწევად სულ მიემართა 4.45 მლნ ლარი. ყოველთვიური დანამატი გაიცა 593 ექიმზე (სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით) და 986 ექთანზე (სახელმწიფო პენსიის ოდენობით).

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“-ში 2016 წლის 2 თებერვლის №47 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებით, აღნიშნული წესის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა კომლებზე (ოჯახებზე) საშეშე მერქანი გაიცემა გაზრდილი ოდენობით (7 მ3-დან 15 მ3-მდე). 2018 წელს ამ შეღავათით 11,923-მა ოჯახმა ისარგებლა.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე აბონენტებს (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს) აუნაზღაურდათ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა. დაახლოებით 75 ათას აბონენტზე აღნიშნული შეღავათის გასაწევად 2018 წელს სულ მიემართა 9.3 მლნ ლარი.

ყოველთვიური ფულადი დახმარება გაიცა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის 100 ლარის ოდენობით, ხოლო მესამე ბავშვისა და შემდგომი ბავშვებისათვის - 200 ლარის ოდენობით, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი. აღნიშნული შეღავათის გასაწევად 2018 წელს სულ მიემართა 7.36 მლნ ლარი. დახმარება ყოველთვიურად გაიცემოდა 4 ათასზე მეტ ბავშვზე.

მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის გაიცა შრომის ანაზღაურების ყოველთვიური დანამატი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებით დადგენილი „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობით. 2018 წელს აღნიშნული შეღავათის გასაწევად სულ მიემართა 14.47 მლნ ლარი.

მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლებისთვის შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35%-ის ოდენობით დანამატისთვის 2018 წელს გაიცა 50,408 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N436 დადგენილებით დამტკიცებული მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე და მომუშავე 320 მწვრთნელის შრომის ანაზღაურების დანამატებზე 2018 წელს სულ მიმართულია 233,040 ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - 2018 წელი

2018 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან რეგიონული განვითარების ფონდს გამოეყო 10 მლნ ლარი. 2018 წელს აღნიშნული თანხიდან დაფინანსდა 36 პროექტი (დაახლოებით 9.9 მილიონი ლარი) 24 მუნიციპალიტეტში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის, დუშეთის, მცხეთის, თიანეთის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, თეთრიწყაროს, წალკის, ჩოხატაურის, საჩხერის, ხარაგაულის, ხონის, გორის, კასპის, ქარელისა და მესტიის მუნიციპალიტეტები).

ასევე, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებებში კენკროვანი კულტურების განაშენიანებისათვის გამოეყო 300,000 ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გამოეყო 8.66 მლნ ლარი, საიდანაც 7.66 მლნ ლარი „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ - საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის N265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის, ხოლო 1 მლნ ლარი „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N150 დადგენილების ფარგლებში მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული კოოპერატივების დასაფინანსებლად.

აგრეთვე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოეყო 246,805 ლარი ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის ხეობების ინტერნეტიზაციისთვის.

გარდა ამისა, 2018 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 23,000 ლარის ოდენობით დაფინანსდა „მაღალმთიან რეგიონებში პირველადი სამედიცინო (ექიმამდელი) დახმარების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 აგვისტოს №440 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფო პროგრამის 26-მა ბენეფიციარმა, სწავლება გაიარა 2 ნაკადად. 10 ბენეფიციარი მცხეთა-მთიანეთიდან, 8 ბენეფიციარი სამეგრელო-ქვემო სვანეთიდან, 6 ბენეფიციარი სამცხე-ჯავახეთიდან, 1 ბენეფიციარი შიდა ქართლიდან, ასევე 1 ბენეფიციარი რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთიდან. კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და სამედიცინო ჩანთები, გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო სახარჯი მასალითა და ინვენტარით.

თანხა გამოყოფილ იქნა ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის 150,000 ლარი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გადასაცემად, ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე მთის ფაკულტეტის შექმნისა და შესაბამისი სასწავლო პროგრამის მოსამზადებლად.

	საბიუჯეტო კოდი	2018 წელი		
პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა		სამიზნე მაჩვენებელი (მლნ ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (მლნ ლარი)	შესრულება (%)
4.3.1. მაღალმთიანი დასახლებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	რეგ. ფონდი, 25 03 10 მგფ	122,700	116,900	95
4.3.2. მაღალმთიან დასახლებებში დამწყები, მცირე და საშუალო ბიზნესისა და ფერმერული მეურნეობების განვითარება	31 06 05; ნაწილი კოდებიდან - 56 08; 56 09	1,042	881	85

ღონისძიება 4.4 ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა

ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) მოიწონა ეკვატორის პრინციპების, მსოფლიო ბანკისა და IFC სტანდარტების მიხედვით განხორციელებული, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESIA).

კომისიამ განიხილა და მოიწონა განახლებული მშენებლობის პროექტირების მართვის გეგმა (CPMP) და გემის რეალურ დროში სიმულაციის კვლევა. საინვესტიციო ხელშეკრულებაში შეტანილია ცვლილებები, რომელთა მთავარი მოტივი იყო საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გადავადება, პორტის საკონტეინერო ტერმინალის ოპერატორის შეთანხმების მიზნით შედგა მხარეებს შორის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების 3 ეტაპი, რომელზეც განიხილეს საინვესტიციო ხელშეკრულებების ცვლილებები, შემოთავაზებული პოტენციური ოპერატორის მიერ.

იმისათვის, რომ პროექტი შეუფერხებლად განხორციელებულიყო, 10-ზე მეტ უწყებასთან კომუნიკაციის შედეგად განისაზღვრა თითოეული სახელმწიფო უწყების საჭიროება ანაკლიის პორტში მშენებლობის შეუფერხებელი მუშაობისთვის. მათ შორის: ტორფის, ქვიშა-ხრეშის და სხვა რესურსების მოპოვების პროცედურებისა და შესაბამისი მოსაკრებლების გადახდის პირობების განსახილველად; საინვესტიციო ტერიტორიაზე განაღმვითი სამუშაოების განსახორციელებლად; საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, საინვესტიციო ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირობისათვის ალტერნატიული საცხოვრებლის გადასაცემად და სხვა.

ინვესტორის მიერ არჩეულია და სააგენტოსთან შეთანხმებულია პორტის დეტალური დიზაინის შემქმნელი კომპანია - Berger Abam; ამასთან დამტკიცდა პორტის ადრეული დაღრმავებისა და რეკლამაციის სამუშაოების განსახორციელებლად შერჩეული კომპანია - შპს Van Oord Georgia და პორტში საჭირო ამწეების შესასყიდად კომპანია - CSA.

ამასთან, განხილულია შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის 2017 წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

მთავრობის 2018 წლის პირველი ივნისის #1224 განკარგულების შესაბამისად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განსახლების პოლიტიკის სახელმძღვანელო - ჩარჩო-დოკუმენტსა და განსახლების სამოქმედო გეგმაში განმახორციელებელ ორგანიზაციად გარე მონიტორინგისა და განხორციელების შემდგომი ანგარიშის ნაწილში განისაზღვრა "სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო". ამასთან, 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა საველე სამუშაოები და მომზადდა შესაბამისი ანგარიშის პირველადი ვერსია, რომელიც გაეგზავნა ინვესტორს შენიშვნებისათვის.

სახელმწიფოსა და ინვესტორის ტექნიკური კონსულტანტების მონაწილეობით შესწავლილი და განხილულია პორტის ფსკერის დაღრმავების სამუშაოების 2 ნაწილად გაყოფის შესაძლებლობა საინვესტიციო ხელშეკრულების მე-9 ცვლილებით ცალკე გამოიყო ადრეული ფსკერის დაღრმავების სამუშაოები და დაიწყო მისი განხორციელება, რაც გულისხმობს 5 მლნ. კუბური მეტრის მოცულობის მიწის ამოღებას ზღვიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ორეტაპიანი განხილვის შედეგად მოხდა ინვესტორის მიერ მომზადებული და წარმოდგენილი გარემოს დაცვისა და სოციალური მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტის შეთანხმება.

	საბიუჯეტო კოდი	**2018 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი	**ფაქტობრივი შესრულება**	**შესრულება (%)**
პროგრამული ღონისძიების აქტივობა **და ქვე-აქტივობა**				
4.4.1 ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის და ტერიტორიის მშენებლობა	25 01 03	2,500	603	24

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების დადების გადავადების გამო ფაქტიურმა შესრულებამ 2018 წელს მხოლოდ 24% შეადგინა.

ღონისძიება 4.5 და 4.6

- ამ ეტაპისთვის ანალიზისთვის საკმარისი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი

პრიორიტეტი 5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა, რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის

ღონისძიება 5.4. რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება: განვითარების პროგრამის მომზადება საპილოტე რეგიონებისთვის

2018-2021 რგპ-ს ღონისძიების შესაბამისად, მიმდინარეობს ინტეგრირებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავების პროცესი (ისრგპ). პროგრამა მოიცავს 3-წლიან პერიოდს (2020-2022წ.წ.). ისრგპ განხორციელება მოხდება ოთხ საპილოტე რეგიონში: იმერეთში, კახეთში, გურიასა და რაჭა- ლეჩხუმ და ქვემო სვანეთში. აღნიშნული რეგიონები შეირჩნენ საჭიროებების და პოტენციალის ანალიზის საფუძველზე. ისრგპ მიმართული იქნება 4 საპილოტე რეგიონის სპეციფიკური საჭიროებების გადაჭრასა და პოტენციალის ათვისებაზე.

ისრგპ-ს ამოცანას წარმოადგენს 4-ვე სამიზნე რეგიონში განვითარების ფაქტორებში ინვესტიციების ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა. აღნიშნული ამოცანის შესრულება მოხდება სხვადასხვა ტერიტორიებსა და სექტორებში ინტეგრირებული ინვესტიციის განხორციელებით შემდეგი მიმართულებით: წარმოების სექტორი, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალისა და საჯარო სერვისების განვითარება. ფინანსური დახმარება კონცენტრირებული იქნება იმ ტერიტორიებსა და სექტორებში, რომელთაც კონკრეტულ რეგიონებში პროდუქტიულობისა და დასაქმების დონის გაზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

ისრგპ ასევე მიმართული იქნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობის გაღრმავებისკენ, მრავალდონიანი მმართველობის, პროგრამირების ინტეგრირებული მიდგომის, ეფექტური კოორდინაციასა დაფინანსების მექანიზმების განვითარებისკენ.

პროგრამა ხელს შეუწყობს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას. ამ მიზნით მოხდება გარკვეული ამოცანების ადგილობრივ დონეზე ეტაპობრივი დელეგირება, სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით.

ნაწილი II: მიღწეული შედეგების ანალიზი

რეგიონული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგების დადებითი ან უარყოფითი დინამიკა შესაბამისად აისახება რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსა და როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ინვესტორების გადაწყვეტილებებზე, ეს კი, თავის მხრივ, შეუწყობს ან შეუშლის ხელს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, ერთის მხრივ, და რეგიონების განვითარებას - მეორეს მხრივ.

ქვემოთ მოყვანილია განხორციელებული ღონისძიების შედეგების დინამიკა, რომელიც ეყრდნობა პროგრამის განმახორციელებელი უწყებებიდან მიღებულ მონაცემებს.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
შემცირებული საგზაო შემთხვევების რაოდენობა	საგზაო შემთხვევების რაოდენობა	1,278	1,100	1,028

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურის პირობებში საგზაო შემთხვევების რაოდენობა 2018 წელს შემცირდა 20%-ით წინა წელთან შედარებით, რაც თავის მხრივ, ასოცირებულია უფრო უსაფრთხო მოძრაობასთან და შესაბამისად, მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებასთან.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პოტენციური აბონენტების რაოდენობა, რომელთაც მიეცათ საშუალება ჩაერთონ გაზმომარაგების ქსელში	რაოდენობა	260,800	15,542	15,542
ახალი/რეაბილიტირებული ჰიდროელექტრო სადგურების საშუალო წლიური გამომუშავება	მგვტ. სთ	8,708	23,590	44,649

გაზმომარაგების გაუმჯობესების შედეგად გაიზარდა მომხმარებელთა რაოდენობა, ხოლო რეაბილიტირებული სადგურების გამომუშავებამ გაუმჯობესა ელექტროენერგიის მიწოდება და მისი ხარისხი. შესაბამისად, შედეგმა 2018 წლის სამიზნე მაჩვენებელს თითქმის 2-ჯერ გადააჭარბა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაცემული ეფექტური გაფრთხილებების რაოდენობა	რაოდენობა	35	30	47

მეტეო შეტყობინების სისტემების გაუმჯობესებამ განაპირობა მოსახლეობის წინასწარი გაფრთხილებების რაოდენობის ზრდა 34%-ით, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობისა და ფერმერთა ზარალი შემცირდა.

2017 წელთან შედარებით, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების შედეგად გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა, თუმცა მუზეუმებისა და მუზეუმ - ნაკრძალების შემოსავლების ზრდა 2017 წელთან შედარებით 2%-ით არის შემცირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტების შემოსავლიანობის ზრდა იძლევა დასაქმებულთა რაოდენობის ან მათი შემოსავლების ზრდისა და ინფრასტრუქტურაში შემდგომი ინვესტირების შესაძლებლობებს. გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, ვიზიტორთა რაოდენობის მატებას არ აქვს ეკონომიკური ეფექტი, თუ მას თან არ მოყვება ობიექტების შემოსავლიანობის ზრდა.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ტურიზმისგან მიღებული უცხოური ვალუტა	მლრდ აშშ დოლარი	2.8	3.1	3.2
საერთაშორისო ტურისტების ვიზიტები	რაოდენობა	7,902,509	8,236,040	8,679,544

ტურიზმის სექტორში გატარებული ღონისძიებების შედეგად 2018 წელს გაიზარდა, როგორც ვიზიტორთა რაოდენობა (9%), ისე შემოსული უცხოური ვალუტის მოცულობა (14%), რაც დადებითად აისახებოდა მიმღები რეგიონებში მოსახლეობის ტურიზმსა და მომიჯნავე დარგებში დასაქმებულთა შემოსავლიანობაზე, ასევე განაპირობებდა დარგში შემდგომ კაპიტალდაბანდებას.

კომერციული ბანკების მიერ სოფლის მეურნეობისთვის გაცემული სესხების სიდიდე	**საზომი ერთეული**	**საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)**	**2018**	
			სამიზნე მაჩვენებელი	**შედეგი**
კომერციული ბანკების მიერ სოფლის მეურნეობისთვის გაცემული სესხების სიდიდე	ლარი	310,347,181		282,379,045

2018 წელს კომერციულმა ბანკებმა ნაკლები პროექტი დააფინანსეს სოფლის მეურნეობაში, თუმცა ეს სიდიდე არ ასახავს რეგიონებში გატარებული ღონისძიებების წარუმატებლობას. როგორც ფიზიკურმა და ფინანსურმა ინდიკატორებმა აჩვენეს, პროგრამები საკმაოდ წარმატებული იყო რეგიონებში, მაშინ როდესად სასესხო პორტფელის მოცულობის შემცირება შეიძლება განპირობებული იყოს სასესხო პოლიტიკის გამკაცრებით ან თანადაფინანსების წილის მატებით.

2018 წელს 8% გაიზარდა ექსპორტის მოცულობა წინა წელთან შედარებით და 6.5 მილიონი აშშ დოლარით გადააჭარბა ამავე წლის სამიზნე შედეგს. ამ დინამიკაში ასახულია საქართველოს რეგიონებში მოპოვებული ან წარმოებული ფერადი ლითონები, თხილი, ღვინო და სხვა საექსპორტო საქონელი. ამგვარი დადებითი დინამიკა შეიძლება მივიჩნიოთ შესაბამისი (იმერეთი, ქვემო-ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი) რეგიონების განვითარების წინაპირობად.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)**	**2018**	
			სამიზნე მაჩვენებელი	**შედეგი**
საინვესტიციო პროექტების ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა	რაოდენობა	300	700	700
პროგრამის ფარგლებში მოზიდული ინვესტიციის მოცულობა	მლნ ლარი	180	120	103

2018 წლის მანძილზე მოზიდული ინვესტიციების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა (43%), თუმცა ინვესტიციების შედეგად შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა ორჯერ (და ზოგ შემთხვევაში მეტჯერ) აღემატებოდა გასული წლის მაჩვენებელს. სამუშაო ადგილების ზრდა მეტწილად გამოწვეულია ორი ქარხნის ამუშავებით ორ რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციები ამ საწარმოებში 2018 წლამდეც ხორციელდებოდა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა დადებითად აისახება რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობის შემოსავალზე.

	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების რაოდენობის მზარდი მაჩვენებელი;	რაოდენობა	11,541	n/a	7,616
იმ პირთა დასაქმების ინდექსი, რომელთაც მიიღეს პროფესიული განათლება (თვითდასაქმების ინდექსი)	თვითდასაქმების ინდექსი	56.2% (მათ შორის 8% თვითდასაქმებული)	n/a	60% (მათ შორის 11% თვითდასაქმებული)

2018 წელს პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო (35%), ეს კი საკმაოდ უარყოფითი დინამიკაა. 2018 წელს პროცენტულად მეტი კურსდამთავრებული დასაქმდა, თუმცა აბსოლუტურ მაჩვენებლებში ეს მონაცემი 1,900-ით ნაკლებია ვიდრე წინა წელს. მიუხედავად იმისა, რომ ხდება ინფრასტრუქტურისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, შედეგის მაჩვენებელები კლების ტენდენციას ასახავენ. ეს რეგიონების შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ასიმეტრიაზე მიუთითებს, რომლის მიზეზები შესწავლასა და რეაგირებას მოითხოვს.

	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულება	მოცულობა/ლარი	n/a	277,831	202,308
მცირე და საშუალო ბიზნესების და სხვა ეკონომიკური სუბიექტების/ინიციატივების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურით	რაოდენობა	n/a	807	633

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 2018 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები.

ნაწილი III: გამოვლენილი ხარვეზები და გადაჭრის გზები

უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სფეროში შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებები ძველ და ახალ სტანდარტებს შორის. აღნიშნულის გამოსწორების მიზნით, საჭიროა მომავალში მოხდეს ძველი და თანამედროვე სტანდარტების ერთობლივი ჰარმონიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს თანამედროვე მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან დაახლოება.

მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს "სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო"-ს დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხი. მიზანშეწონილია გაგრძელდეს სააგენტოსა და ინვესტორს შორის თანამშრომლობა, იმისათვის რომ მოხდეს ინვესტორის მიერ დეტალური დიზაინის მომზადება და შეთანხმება მთავრობასთან. ასევე, ინვესტორის მიერ ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყება და სააგენტოს მიერ აღნიშნული პროცესის ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელება.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის პირველი ფაზის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა ინვესტორის მიერ ფინანსური დახურვის მიღწევისა და სასესხო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, საინვესტიციო შეთანხმებაში შესატან ცვლილებებზე მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზება/მოძიება. უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე დონორ ქვეყნებთან, აქტიური თანამშრომლობა.

ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების და გეოლოგიური საფრთხეების მონიტორინგისთვის სტანდარტული და სპეციალიზებული ქსელის გაფართოება / შექმნა, მათ შორის:

ა) ამინდის პირობების მონიტორინგის მიზნით რადარების ქსელის განვითარება;

ბ) ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის მონაცემების შეგროვებისა და გავრცელებისათვის სატელეკომუნიკაციო სისტემის გაუმჯობესება;

გ) გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) არეალებში მოქცეული დასახლებული პუნქტების და ინფრასტრუქტურული ობიექტების მონიტორინგის ქსელის გაფართოება, მათ შორის ინსტრუმენტალური მონიტორინგი.

მიზანშეწონილია გაგრძელდეს და შესაძლებლობის ფარგლებში, გაიზარდოს ადგილობრივ დონეზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდამჭერი ღონისძიებების რაოდენობა, რაც სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პარალელურად, უზრუნველყოფს პრიორიტეტული მიმართულებებისა და დარგების შესაბამისად რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას. მნიშვნელოვანია კოოპერატივებს გაეწიოს დახმარება მათი პროდუქციის ცნობადობის ამაღლებაში და წარმოების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებაში, რისთვისაც მათ დამატებით უნდა ჩაუტარდეთ ტრეინინგები და მოწვეული ექსპერტების მიერ თითოეული კოოპერატივისთვის (სურვილის შემთხვევაში) განისაზღვროს მოქმედების გეგმა.

რთველის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულია ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით შექმნილი საქართველოს ვენახების ეროვნული კადასტრის ფართოდ გამოყენება რთველის პროცესში. ასევე,

კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში დღეისათვის ნაკლებად ცნობილ მევენახეობის ზონებში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის მიზნით.

მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მონიტორინგის სისტემის განვითარება სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების მართვის, განხორციელების და პროგრამირების გაუმჯობესებისათვის.

გამოვლინდა, რომ საჭიროა დამატებითი დაფინანსება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოების პროექტის დასრულების მიზნით.

გარდა ამისა, 2018 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და შესაბამისი უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიის მიერ წარმოებული ინვესტორის შერჩევის პროცესის შედეგად, გამარჯვებული კანდიდატის შერჩევა არ განხორციელებულა.

- ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის შემთხვევაში, შერჩევის პროცესი შეწყდა 2018 წლის ოქტომბერში იქიდან გამომდინარე, რომ შერჩევის მეორე ეტაპზე (RFP) განაცხადი არ წარმოადგინა არც ერთმა კანდიდატმა. 2019 წელს იგეგმება პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება კერძო ინვესტორების შესაძლო დაინტერესების მიზნით და ამის შემდგომ შერჩევის პროცესის განახლება.
- თბილისის ლოგისტიკური ცენტრის შემთხვევაში, შერჩევის მეორე ეტაპზე მონაწილეობას იღებდა ერთი კანდიდატი, რომელიც 2019 წლის 23 ივლისს უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განაცხადში და შემოთავაზებაში არსებული სხვადასხვა სახის ხარვეზების გათვალისწინებით, არ გამოცხადდა გამარჯვებულად. ქუთაისის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც იგეგმება შერჩევის პროცესის განახლება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N791 განკარგულებით დამტკიცდა გაზიფიცირების 2019-2021წწ გეგმა, რომლის მიხედვით შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ 2019-2021 წლების განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით 226 დასახლებულ პუნქტში არსებული 59 ათასამდე აბონენტის ბუნებრივი გაზით მომარაგების მიზნით გაზიფიცირების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. სამუშაოების სავარაუდო ჯამური ღირებულება - 209 მლნ ლარს.

ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელება სახელმწიფო უწყებების და ადგილობრივი თვითმართველობების მიერ ხელს შეუწყობს მეტი ბენეფიციარის მოზიდვას პროგრამაში.

ასევე, გასატარებელია მეტი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს განათლების სისტემაში ტექნოლოგიური მიმართულებების აქტიურ დანერგვას, ინტერესის გაზრდას ახალგაზრდების მხრიდან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობას საერთო მიზნის განსახორციელებლად. საჭიროა გაცილებით მეტი ახალგაზრდისთვის ტექნოლოგიური მიმართულებით ინტერესის გაღვივება, რათა წარმოჩინდეს მეტი ღირებული იდეა, რომლის კვალიფიციურ გუნდში ინტეგრირების შემდეგ შეიქმნება მეტი ინოვაციური სტარტაპი, გლობალური წარმატების მიღწევის ალბათობით.

ფინანსური და ადამიანური რესურსების სწორად ხარჯვისთვის აუცილებელია თითოეული გამოფენის შედეგების სიღრმისეული შეფასება, რაც გულისხმობს კონკრეტულ გამოფენაში მონაწილე კომპანიის შედეგების დეტალურ ანალიზს მისი საექსპორტო აქტივობების კუთხით; რამდენად განახორციელა ან/და გაზარდა ექსპორტი კონკრეტულმა კომპანიამ კონკრეტულ საექსპორტო ქვეყანაში, მოახდინა თუ არა საექსპორტო ბაზრების

დივერსიფიცირება და ა.შ. საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ, ცვლილება უნდა შევიდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლში, რომლის საფუძველზეც სხვა დანარჩენ ორგანოებთან ერთად სსიპ „აწარმოე საქართველოში“-საც ექნება შესაძლებლობა მიიღოს ე.წ. კონფიდენციალური ინფორმაცია კომპანიის შესახებ. აღნიშნული საჭიროა, რომ მოხდეს განხორციელებული ღონისძიებების რეალური შეფასება, ასევე, სააგენტოს ექსპორტის დეპარატამენტს ქონდეს ამომწურავი ინფორმაცია ქვეყანაში ექსპორტიორი კომპანიების და მათი აქტივობების შესახებ, რათა სწორად განახორციელოს მათი კატეგორიზაცია, კომპანიების გამოფენებში მონაწილეობის სუბსიდირება, შესაბამისი პროდუქტის და დახმარების პაკეტის შემუშავება და განხორციელება. დამატებით, საჭიროა ექსპორტის მიმართულებით კვალიფიციურ ტრენერთა ბირთვის გაფართოება, რომ შესაძლებელი იყოს სხვადასხვა რეგიონებში ერთდროულად რამდენიმე სასერთიფიკატო კურსის განხორციელება.

საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს შეფასებისა და მონიტორინგის სისტემური პროცესი წარმოადგენს, რომელიც 2018 წლის ბოლომდე გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდებოდა. შეფასებისა და მონიტორინგის პროცესის მიზანი პროგრამის ფარგლებში არსებული გამოწვევების დროული იდენტიფიცირება და ჩართული მხარეებისთვის დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენაა. შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი ხორციელდება პროგრამის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე: პროგრამამდელი შეფასება (მოსწავლეთა პროგრამამდელი ელექტრონული გამოკითხვა მოსწავლეთა განწყობების, მოლოდინებისა და საჭიროებების იდენტიფიკაციისთვის), შეფასება პროგრამის მიმდინარეობისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება წინასწარ შემუშავებული სტანდარტიზებული კრიტერიუმებით) და პროგრამის შემდგომი შეფასება (თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები პროგრამაში ჩართულ ყველა მხარესთან).

გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად აუცილებელია შენარჩუნდეს სოციალური დახმარებების დროულად გაცემის მაჩვენებელი მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების დახმარებებში შემავალი სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში. ამასთან, გაგრძელდება მუშაობა, რათა გაუმჯობესდეს ადმინისტრირების პროცესი და შემოღებულ იქნას ისეთი მექანიზმები, რომლებიც მიმართული იქნება მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ, შეესაბამება პროგრამის მიზანს და უპასუხებს არსებულ გამოწვევებს.

სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის სფეროში გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად აუცილებელია შენარჩუნდეს/გაიზარდოს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება.

გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად აუცილებელია შენარჩუნდეს შეღავათების დროულად გაცემის მაჩვენებელი და გაგრძელდეს მუშაობა, რათა დაიხვეწოს კოორდინაციის და ადმინისტრირების პროცესი. პროგრამების ეფექტიანობისათვის საჭიროა გაძლიერდეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობა, რაც მეტ შესაძლებლობას გააჩენს საბიუჯეტო თანხების ეფექტურად ათვისებისათვის.

უნდა აღინიშნოს წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზაციისა და განვითარების მიმართულებით პროექტებზე გამოყოფილი თანხების ათვისების მაჩვენებელი, რომელმაც 83% შეადგინა და მეტწილად გამოწვეული იყო პრობლემური დიზაინით, დამატებითი სამუშაოების აუცილებლობით, კონტრაქტორების მხრიდან არასრულყოფილი დაგეგმვითა და ბიუროკრატიით.

მყარი ნარჩენების მართვის სფეროში მიზანშეწონილია არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მონიტორინგის შემუშავებული (კანონმდებლობის საფუძველზე) პროცედურების დანერგვა - მონიტორინგის ლაბორატორიის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს შესაძლებლობების გაძლიერებას (ლაბორატორიული ხელსაწყო-დანადგარები) და კომპანიის 2014-2024 წლების სტრატეგიით გათვალიწინებული პრიორიტეტების შესრულებას. ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველო-ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას ნარჩენების მართვის სექტორში. კერძოდ, კომპანიის იურისდიქციაში არსებული 54 ნაგავსაყრელის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ოპერირებასა და დახურვის შემდგომი მონიტორინგის განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს შემდეგ საკითხებს:

ცალკეული უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ჩატარებული ანალიზის შედეგად, იკვეთება რომ საქართველოს რეგიონებში საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, ხოლო ამ ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭიროა ძირითადი პირობების/საჭიროებების გამართვა.

გასაუმჯობესებელია რეგიონული განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული უწყებების გამოყოფილი თანხების ათვისების მაჩვენებლები, რისი გამომწვევი ფაქტორებიც არაერთგვაროვანია და ინდივიდუალურ მიდგომებს საჭიროებს. 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის პროცესის შემდგომი განვითარება და განმახორციელებელ უწყებებთან თანამშრომლობის გზით ანგარიშგების დახვეწა;

მნიშვნელოვანია რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე სტრუქტურის შემდგომი გაძლიერება, მათ შორის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის (რგსკ) შესაძლებლობების განვითარება მთლიანად პროცესის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად;

არსებითად მნიშვნელოვანია რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკური მონაცემთა ბაზის შემდგომი გაუმჯობესება რგპ-ს უკეთ მონიტორინგისა და შეფასებისთვის, განსაკუთრებით მიღწეული შედეგების ანალიზისთვის;

ბოლოს, პროგრამის მე-5 პრიორიტეტის ეფექტიანად განსახორციელებლად მნიშვნელოვანია შერჩეული საპილოტე (სამიზნე) რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის დასრულება (იხ. ღონისძიება 4.5), მისი მონიტორინგის გეგმის შემუშავება და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-დამუშავება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტიციების მიმართვას სამიზნე ტერიტორიებისკენ.